



# ილორი



№ 42 (110) 24 ნოემბერი 2009 სანჯალო მთიანეთი "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი



თაყაიშვილების სახლი სოფელ  
ლიხაურში

3

## ერის სანთლად ქცეული ნეინდანი



დეკანოზი დავით  
ფიფია ზვიად  
ბამსახურდიას  
რუსეთთან  
ნორმალური  
დამოკიდებულების  
აღდგენას  
სთხოვდა.

5


## სლისვაბი ბუდარისა

გათეა ხსირებულები

2

## კავკასიის ემირატი

6



9

## ლავრენტი 4 ბერია — ქართული გენია




ბავთი "ილორი" უპევა რუბიას "სოფლიოს ლეგენდული მატეო"



ინგლისური "კლასიკის"  
სასტიკი უიღბლობა

12



"მეგრული საკითხი"

5

## მე-20 საუკუნის საქართველოს ტრაგედია

10



# ბუღდარიხა

მკითხველს ამთავითვე ბოდიშს მოუხვლი, რაკი ვიცით, რომ კორექტულობის ზღვარის გადაღება უთუოდ მომიწევს, რადგანაც შეუძლებელი მგონია თავშეკავება, როცა თუა თუთბერიძეზე ლაპარაკობ. აქ ისიც ვერ შემანერებს, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ბუღდარში გამონაკლისი გველის წიწილი ქალია და მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქართველივე, მეც გენტიკურ კოდში მივდგას სუსტი სქესისადმი უპირობო პატივისცემა, რა ვენა, ამ კმარულ ალკაჯს ქალად ვერასოდეს აღვიქვამდი. მით უმეტეს ახლა, როდესაც ორივე კვირის წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობას ამ უწმინდესობის იხილვით შეურაცხყოფა მიყენა, რომ განხილვებაც კი შეუხერხებულა. მაგრამ მოდი ყველაფერი – თავიდან დავიწყეთ, რადგან ის, რაც მოხდა, ნამდვილად არ იყო, რომ იტყვიან, „მოწმენდილ ცაზე მეხის გაგარდა“, ანუ ადრეც არაერთხელ ვყოფილვართ მოწმენის სოროსის ნახსენები „ხლისტების“ თავხედობისა, ამ შემთხვევაში, – თუა (ბუღდარიხა) თუთბერიძის.

## აქა ამბავი ბუღდარიხას პირველი ნაბიჯებისა,

ანუ „ზესტაფონო, ზესტაფონო, გზორდები“ უფრო სწორად, ზესტაფონის რაიონის ერთ სოფელში, ჩვეულებრივი ქართველი გლეხის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა ეს არგასხარდელი გოგო, რომელსაც სათნოების, სინაზის გამოხატვად სხელი თუა დაარქვეს, მაგრამ ნათქვამია – „თუ ბუნებამც არ უშეღაო“, პოდა, ერთი პოეტის პერიფრაზით თუ ვიტყვი – „წუხებლის გველი დაბადებულა“, უპირობი იქნება თაიხე.

გველის წიწილობის ხანაც და საშუალო სკოლაც სოფელში დაუმთავრებია და თბილისისკენ პერიპერი! სადაც ეს უწონური, რაღაც მანქანებით, უნივერსიტეტის სტუდენტო გახდა. თუმცა რატომ რაღაც მანქანებით? ეტყობა, მოლა და ყველაფერში არ ტყუიან „ნაცებო“ და როინ მტრეველის უნივერსიტეტში, მართლაც, ყვარდა კორუფცია, თორემ წერა-კითხვის უცოდინარი თუთბერიძე სხვანაირად სტუდენტო ვერ გახდებოდა!

ამასობაში პაერში სოროსის ვარდების ავის-მომასწავლებელი სურნელი დატრიალდა და კაპარხანა თამა სწავლა მიატოვა (უფრო სწორად, დიპლომის აღებაზე ნალოფი, რასაც რეკოლუციის შემდეგ სკანდალურად აიღებს, მაგრამ ამაზე ქვემოთ) და „კმარას“ ლიდერად მოგვეყვინა.

მაშინ რომ გაეჭკორათ თაიხე, როდესაც „შეიშტოკებით“ ავრუებდა და „კრასკებით“ თხუნიდა თბილისის ქუჩებს, იცოცხლე კი იყო, მაგრამ, შევარდნაძის სუცნაზის მრისხანე შუვი თქმურ მღებრიშვილი ჩურჩხელებს ურიგებდა კმარალებებს და არა მხოლოდ მათ.

პოდა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო – იქუხა ვარდების დიდმა რევოლუციამ, ყვარყვარეს ცნობილი ლოზუნგის – „გაიხარე, მუშავ წამებულ“ – ფონზე დაიწყო ყველაფერი ქართლის, ტრადიციული, მართლმადიდებლურის ნერვე-გინება-უარყოფა..

საზოგადოებისთვის პირველი, ყურის-მომტრელი განცხადებაც მაშინ გააკეთა რევოლუციის წინაშე დამსახურებისთვის „თავისუფლების ინსტიტუტის“ შევის, ლევან (ბუღდარა) რამიშვილის მოადგილედ აღაბორანტებულმა თუა (ბუღდარიხა) თუთბერიძემ, როცა საქართველოს დედაქალაქისაში შეგზავნილმა სოროსის ვირთხებმა, შიდაეკლესიური „დემოკრატიული“ რეფორმები მოითხოვეს – თუ საჭიროდ ჩავთვლი, საპატრიარქოს კვლეზე მივაწერ „კმარას“. ეს თავხედობა, ყველა მორწმუნისათვის შეურაცხმყოფელი განცხადება, რომ იტყვიან, ხახვივით შერნა და ყურებზე ხახვიც ვერაინ დაატრა.

მერე იყო და გაახსენდა, რომ დიპლომი ჯერაც ასაღები ჰქონდა და „მშობლიურ“ უნივერსიტეტს მიაშურა, სადაც როინ მტრეველის, ამ თხემით ტერფამდე ქართველის (გრუზინის, გიგი თვეუზაძისთვის „ჩვენი“, ჩამორჩენილი ქართველების მიმართებით საღანდელი დეფინიცია) კვლიც გამქრალიყო და ვია ხუბუას, გიგი თვეუზაძისა და დავით პიჭაძის, ბუღდარა ხლისტების ზეობის ხანა დამდგარიყო.

რის დიპლომის დაცვა, ანუ რის ცოდნა, რა ცოდნა, როგორც ამბობენ, ბუღდარიხა თუთბერიძემ მტრეველით ხელში ჩამოუარა პროფესორ-მასწავლებლებს. ვინ შეკადრებდა, ვინ გაუბედავდა რევოლუციის წინაშე დამსახურებულ ქაჯს ცოდნის შემოწმებას? აკი, ვერც გაუბედვლ „წითელმა პროფესორებმა“ და სულ ხუთიანები ნაუჭიკიკეს, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, „КОСА ХАМЛІА НІА КАМЕХІ“ და „КАМЕХІ“-ს კიდევ ერთი „წითელი პროფესორი“, ქალბატონი დალი ფანჯიკიძე ერქვა.

ვის უბედავო? შეკვივლა თურმე ამ ტუტუც-მა გოგომ – მე ბუღდარიხა არ ვიყო, თუ შენც როინის ოინი არ ვიყო და სამსახურიდან არ გაგვადებინო შენი თავით!

ერთი სიტყვით, ეს სკანდალი გახსოვდა და აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს უპირველესი გერმანისტის, დალი ფანჯიკიძის დასაცავად შეიპარა; ქალბატონის, რომელიც ყოველთვის იყო ცნობილი პრინციპულობით, მსგავს შემთხვევებში – შეუვალობით. იქამდეც კი, რომ თქვენი მონამორჩილიც, რომლის მეყიდრი დეიდაც არის დალი ფანჯიკიძე, უარით გამოიმტკმრა, როდესაც ვთხოვე, ჩემი ძალიან ახლობელისთვის „პატარა“ შეღავათი გაეწია!..

თუმცა უნდა ითქვას, რომ, მართალია, ბუღდარიხას შემთხვევაში ხელისუფლებიდან ვერაინ ვერაფერი შეპებდა „წითელ პროფესორს“, მაგრამ ეს ხსოური უხსოვრად მოგვარეს – უცხო ენა, გერმანული, სხვა „უცხო ენით“, რუსულით შეუცვალავს ბუღდარიხა თუთბერიძეს და რუსულის „მასტალებელმა“ ორი წველა ყველის საფასურად, რომელიც თვას ზესტაფონიდან გამოუგზავნეს, უპირობოდ მოგვარა პრობლემა – ისე, ვითომ ნორად დუმბაძის სურვილზე უკეთესი რუსული ეკოდინება ბუღდარიხას? მეტი არაა თქვენი და ჩემი მტერი, მკითხველო!

„კაპო და ტუტი კაპო“ – ეს მაფიოზური გამოთქმა ნიშნავს ბოსების ბოსს, რომლის მცირე პერიფრაზი, ბუღდარიხასაც მიესადაგება. დიპლომირებულმა კმარელმა იცოტავა „თავისუფლების ინსტიტუტში“ მდგალი თანამდებობა, რადგანაც დიპლომის შესაფერისი ინტელექტუალური პოსტი მოუღდა და ბოსების ბოსად – სკოლის დირექტორების დირექტორად მოგვეყვინა.

სკოლის დირექტორთა ასოციაციის თავმჯდომარეობა თაიდან სახელმწიფო დანიშნების თანამდებობა შეგონა, მაგრამ აღმონდა, რომ ეს ე. წ. ენჯელო, არასამთავრობო ორგანიზაცია ყოფილა, სადაც საქართველოს სკოლების დირექტორებს ერთხმად „აურჩევიათ“ ბუღდარიხა საკუთარ ხელმძღვანელ-ნაიდზირატელად! კარგად არის ცნობილი, თუ მსგავსი „არჩევნები“ როგორი ზეწოლის ქვეშ ტარდება, მაგრამ თუა თუთბერიძემ? ეს უკვე მეტისმეტია და იმდენად შეურაცხმყოფელი მოხდა საზოგადოებისთვის, რომ „პარაქალა“ ჩვენი დირექტორების თავმოყვარეობასა და პრინციპულობას. და ვაი ჩვენს შვილებს, ასეთი სკოლების მოსწავლეები!!!

კმ რაღა ბუერი გაგავრძელო და პოსტრეოლუციურ საქართველოში მივეჩვიეთ, შევეგუეთ ამ უბირი დედაკაცის „გაჯაჯილებას“, რომელიც შიდადაშოვ და ალაგ-ალავ, პირდაპირი ტელეფონითაც „ჰურავს“ ხელზე საზოგადოების აშლილ ნერვებზე. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა, თუ არ გინდა ნერვების აშლა, მარტივად ისარგებლებ დისტანციური პულტით, მა-

გრამ იმ შემთხვევაზე, რახედაც ქვემოთ მოგახსენებთ, ნამდვილად არ ვგების იმის თქმა, თუ არ მოგწონს, გადართე..

ამას წინათ, „მაესტროს“ ეთერით ენახეთ და მოვისმინეთ ამ ალქაჯის კომენტარი პატრიარქის ცნობილ გამოსვლაზე.

„აი, ვინ არის რუსეთის დასაყრდენი საქართველოში“, – არც მეტი, არც ნაკლები, ასე ბრძანა საქართველოს ერთადერთი იმედის, მისი უწმინდესობის მისამართით ამ სოროსის ნაშეიშა, მაგრამ ეს თურმე, რომ იტყვიან, ურნალი ყოფილა და კინო წინ გველოდებოდა.

„უცნობმა“, ვინც გააკენა ზემოხსენებული კომენტარი, იქვე დასძინა, რომ თუთბერიძეს საკუთარ „Facebook“-ზე, ანუ ინტერნეტში ისეთი ვიდეო ჩაუტვირთია, რომ იმას პირდაპირ ეთერში ვერ განხილვებთ, თუ გაინტერესებთ, თავად ნახეთო.

პოდა, მეც ვნახე და ნეტავი არ შენახა – ბეთპოველის სამგლოვიარო პანელების ფონზე ილია მეორეს ერთ-ერთი გამოსვლის კადრები მიდის. ოღონდ ვიდაცის ხმა „დადებული“ და ისეთ ტექსტს ამბობს, რომ მართალია, წერილის თავშივე ვთქვი, ბუღდარიხასთან მიმართებაში კორექტულობის საზღვრებს ვერ დავიცავ-მოქვი, ამჯერად ჩემ მიერ გადაღახულ საზღვრებშიც ვერ ჩაეტევა ის, რაც ამ დედაკაცმა იკადრა.

სამ კვირაზე მეტია ეს „მასალა“ დევს ინტერნეტში, მისი ავტორის „ფოტოსთან“ ერთად და საზოგადოება დუმს. ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიხსენებ, რომელიმე ტელევიზიას ფართოდ რომ გაეშუქებინოს ეს – ყველაფერს რომ თავი დადანებოთ, ყველა მორწმუნესათვის (და არა მხოლოდ) შეურაცხმყოფელი ამბავი.

შინდა მივმართო იმ დირექტორებს, რომელთა დირექტორიც არის ეს ჭეშმარიტი ხლისტი – ნუთუ მათ შორის არავინ არის მრეველი ან, უბრალოდ, პატროსანი აღამიანი, რომელიც ხმას ამოიღებს? ან იგივე მიშარასტ-დეპუტატებში, ოპოზიციონერობას რომ თამაშობენ, ან, თუნდაც პოზიციიაში, გინდაც რუსუდან კერვადიშვილი, ვინც ვიცო, რომ მრეველია და არაერთხელ ჰქონია ბედნიერება პატრიარქთან შესხვედრისა, რატომ არ იღებთ ხმას? რამ დაგაბეჩავათ?

თუ აქამდე თუა თუთბერიძეს ხახვივით შერნა არავინ უგვანო საქციელი, ამ უკანასკნელმა, გაუგონარმა თავხედობამ უსათოდ უნდა მოაშთოს ეს უბირი, პოლიტიკური „თავისუფლების ინსტიტუტის“ დირსეული პირშიშო.

წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ესეც შევარჩინეთ, ჩვენ არც საზოგადოება ვეპივა და, მით უმეტეს, – არც ერი. ვერც იმ „არგუმენტს“ მივიღებ, რომ მაგას ღმერთი დასჯისო. აქ, მაწახე, უნდა მივთხოვოთ პასუხი იქამდეც კი, რომ „აჭურები“ ავახიოთ. მერე წავიდეს და ხლისტების ღმერთთან, ჯორჯ სოროსთან გემიფლოს!

არ ვიცო... მაგრამ, ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როცა ე. წ. „ჩემი აზრით“ გამოთქმა მიუღებელია და, თუ საზოგადოების უმრავლესობას იგივე აზრი არ ექნება, როგორითაც წინააღმებარე წერილია გაუგუნით, შემინცხვენია ასეთი საზოგადოებრივ და ქვეყანაც.

## დავით მხეიძე

P.S. თუა თუთბერიძესთან ერთად ნინია კაკაბაძის უგვანო კომენტარიც მოვისმინეთ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მისი გამო, რომ მისი იმს ჩემი მეგობარია და მის ბიძას, ბატონ ჭაბუა ამირჯიშვილს, როგორც ყველა ჭეშმარიტი „გრუზინი“, მეც ვადმერთებ, ანუ მისი ოჯახისთვის მისი ნინია კაკაბაძის მიმართ იმავეს არ მოვითხოვ, რასაც – ბუღდარიხა თუთბერიძის შემთხვევაში.

ღმერთს ებარებოდე, ჩემო ნინია, ღმერთმა შეგინდოს, თუ შესაძლებია, და თუ – არა, ღმერთმა განგსაჯოს!..

P.P.S. ნამდვილად არ მეგონა, თუ წინააღმებარე წერილში ჩადებული ემოციების

## ხლისტები

კიდევ უფრო გამაფრება მომიწევდა, მაგრამ თურმე ვცდებოდი.

ორივე კვირის წინ, ვისაც ჰქონდა „ბედნიერება“, „კაცკასის“ ეთერთ ნანა ლევაგას „კვირის რეპორტაჟი“ ენახა, უთუოდ დამეთანხმება ამაში.

კიდევ ერთხელ ვიხილეთ საკუთარი უგვანო საქციელით გახარებული თავმომწონე ბუღდარიხა თუთბერიძე და მისი უტიფარი, ამაზრზენი კომენტარები.

პატრიარქი ღმერთი არ არის და ამიტომ პრეზიდენტის, რომის პაპის განმარტებელი კლიპების გაკეთება თუ შეიძლება, რატომ პატრიარქის მიმართ არ შეიძლება, საქართველო ირანი ხომ არ არისო. დაახლოებით ეს წამოროშა ამ ფურუნკულმა.

რა უნდა უპასუხო ტუტუც ბუღდარიხას ამ დემაგოგიაზე? რაც შეეხება პრეზიდენტს (ალბათ, მისა გულისხმობდა), მაგას რაღა კლიპი და ვიდეომონტაჟი უნდა? სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყოველგვარი ვიდეომონტაჟის გარეშე, ჰალსტუხის დეკორა და გორში თხრდელში გორაობით მოიჭრა თავი სოფელ-ქვეყანაზე!

ან რა შუაშია ირანი? განა, თუნდაც, იტალიაში, რომის პაპის მიმართ ვინმე გაბედავს იმას, რასაც ესენი ბუღდავენ? გაბუღდავენ და, როგორც იტყვიან – კაი ჩიტსაც დაიტყვენ!

ჩვენთან – ბუღდავენ და მეტი არა? ზემოთ რომ ერთი კლიპის შინაარსზე ვისაუბრე, მასეთი და უარესი ბარე 5-6 ყოფილა იმავე საიტზე სხვადასხვა ავტორის და ერთი „თავისუფლების ინსტიტუტის“ პატრონავით.

აბა, რა ვგონაო, ქირქილებდა ეს ალქაჯი ბუღდარიხა, რატომ გააკეთა ანტისახელმწიფოებრივი განცხადება! პო, ის, რომ გემის კაპიტანმა უნდა იცოდეს, სად არის წყალქვეშა კლდეები, ანტისახელმწიფოებრივი განცხადება და 12 ავგისტოს გამარჯვების ტაშვანდური სახელმწიფოებრივი საქციელია!..

ზემოთ პოზიცია-ოპოზიციის დუმილი ვახსენე და უნდა გაგავრძელო ეს ჩამონათვალი.

სად არის ქრისტიან-დემოკრატები და მათი ლიდერი? სად ჩანს მათი ქრისტიანობა? ან იგივე „რედისონში“ შეკრებილი ოპოზიცია, რომლის მნახველ ყველა ნორმალურ ადამიანს კრილოვის „ИДЕИ, ПАК, ИЛИ МЫКА“ გაახსენდებოდა. ამ ხალხმა ლამის მოღლოტე-რბინტროპის თავდაუსხმელობის პაქტი გააფორმა და პატრიარქს რომ თავს ესხმინა, რად დაღუშებულან?

მაინცდამაინც იმას ვლოდებინა, რომ პატრიარქის დასაცავად ყველა გამოვა, და თუ მიშას ვერაფერი დაგაკელით აქამდე, ამ „თავისუფლების ინსტიტუტს“ მაინც დაგამთავრებთ ერთხელ და სამუდამოდ!

არ ვიცო... აზრებისთვის თაიხე ვერ მომიყრია, ფიქრი აქეთ-იქით გამიბრია. ერთი რამ კი უმეტესად ვიცი და მჯერა, რომ ამის პატიება ამ ხლისტებისთვის არ შეიძლება! თუ ესეც ჩაყვანა ვართ, არც საზოგადოება და, მითუმეტეს, არც ერი!

ზოგი „ძაან ღვთისმოსავი“ იმით აველირებს, რომ თუა თუთბერიძეს, ბუკა მინდიაშვილს და სხვებს უფალი დასჯის „იქ“. იქნებ, ასეც იყოს, მაგრამ ესეც ვიცოდეთ, რომ თუ აქ არ მოვითხოვთ ამ ბუღდარებს და ბუღდარიხებს, არც ჩვენ გადაგვისვამს უფალი თავზე ხელს „იქ“..

# პოლიციაში მუშაობის 25 წლის სტაჟის მქონე თენგიზ კალანდია აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიასთან მეგობრობისთვის დასაჯავს

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „პერიონის“ შექმნა-შენახვის ბრალდებით 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა თენგიზ კალანდიას.

განსასჯელმა თ. კალანდიამ სასამართლო გამოძიების დროს განაცხადა, რომ მეგობრის ავტომანქანით მიდიოდა მისი მეგობრის – ვლადიმერ ვახანიას დის სანახავად, როცა კოსტავას ქუჩაზე პოლიციელებმა გზა რამდენიმე ავტომანქანით ჩაუკეტეს. იძულებით გაჩერების შემდეგ იგი ძალით გადმოიყვანეს ავტომანქანიდან, ასფალტზე დააგდეს და ცემა დაუწყეს. პოლიციელები ცდილობდნენ, ბოტასებში ჩაეტენათ რაღაც შეკვრა. იგი მიხვდა, რომ ნარკოტიკები იყო და ბოტასები გაიძრო, მაგრამ პოლიციელებმა შარვლის უკანა ჯიბეში ჩაუტენეს.

იქ შეგროვდნენ მოქალაქეებმა დაინახეს, რომ რამდენიმე ახალგაზრდად მომხდარი მოზიდური ტელეფონით გადაიღო, მაგრამ პოლიციელებმა მათ წართვეს მო-

ბილურები და კადრები წაუშალეს. თენგიზ კალანდია ყვიროდა, იარაღი მაინც ჩამიღეთ, პოლიციაში 25 წელი ვიმუშავე და ჩემთვის იარაღის პოვნა უფრო დამაჯერებელი იქნებაო.

პოლიციელებმა ოქმები შეადგინეს, მაგრამ თენგიზ კალანდიამ ხელი არ მოაწერა, ვინაიდან მისგან ამოღებულ ფეხვილი მას არ ეკუთვნოდა. შემდეგ იგი ნარკოლოგიურ განყოფილებაში წაიყვანეს და შეამოწმეს, მაგრამ ნარკოტიკების მიღება არ დაუდასტურდა.

მსჯავრდებულის განმარტებით, ეს პროვოკაცია მის მიმართ იმიტომ განახორციელეს, რომ ამჟამად დაპატიმრებულ აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიასთან მეგობრობს. იგი მეგობარს ციხეში ამანათებს უზახენიდა, მის ადვოკატებსაც ხვდებოდა და ამბობდა, რომ ვლადიმერ ვახანია უდანაშაულო იყო.

თენგიზ კალანდიას ადვოკატის – გურამ ყუფუნიას განმარტებით, კალანდიასთვის გამოტანილი განაჩენი

უკანონო და დაუსაბუთებელია. „სასამართლო გამოძიების დროს პოლიციის ხუთი თანამშრომელი დაკითხეს. ყველა მათგანის ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგოა და თენგიზ კალანდიას დაკავებისა და ჩხრეკის ფაქტს სხვადასხვაგვარად გადმოსცემს, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ კალანდიას დაკავება და მისთვის ნარკოტიკების აღმოჩენა წინასწარ იყო დაგეგმილი, რაც მიზნად ისახავს კალანდიას, როგორც უდანაშაულოს, მაგრამ მათთვის არასასურველი პირის დაპატიმრებას და საზოგადოებისგან იზოლირებას“, – აღნიშნა გურამ ყუფუნია. მან სარჩელი შეიტანა ქუთაისის სააკველიო სასამართლოში თენგიზ კალანდიასთვის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების მოთხოვნით.

ლადო ქირია, ზუგდიდი.



# ერის სახელად ქსეული წმინდანი



**ექვთიმე თაყაიშვილი** – ამ სახელისა და გვარის გაგონებაზე ნებისმიერ ქართველში სიამაყისა და სიბრალულის შერეულ განცდას ბადებს.

სიამაყეს იმიტომ, რომ სწორედ მისი წყალობით შერჩა საქართველოს აუწონავი ისტორიული საგანძური, რაც ქვეყანას თავსდატყვისი უბედურების გამო მისი საზღვრებიდან ძალიან შორს აღმოჩნდა და რომ არა ექვთიმეს **“გრაალის მცველობა”**, საქართველოს წარსულის გარეშე დარჩებოდა.

სიბრალულის კი იმიტომ, რომ დიდ გასაჭირს გაუძლო ამ მართლაც საამაყო და სათაყვანებელმა ერისკაცმა, შიმშილსა და სიღატაკში ედგა საფრანგეთში დარაჯად ქართულ ეროვნულ საგანძურს, თვლიდა კი არავეს შეადგენდა განუყოფელ სიმდიდრეზე, რომლის პარიზში გამოფენის ერთხელ მოწყობაც კი დიდძალ შემოსავალს მოუტანდა, და კიდევ იმიტომ, რომ სიცოცხლეში არ ეღიროს ის პატივი და ღირსება, რასაც იმსახურებდა ქართულ სულიერებას შეწირული ეს მართლაც დიდი ადამიანი.

ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა 1862 წლის 5 იანვარს (და არა, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მინიშნებულ, 1863 წლის 5 იანვარს, რადგან მაშინ დაბადების თარიღად, როგორც წესი, ბავშვის ნათლობის დღე იწერებოდა). 1883 წელს მან დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1887 წელს კი მიიღო პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის დიპლომი.

უადრესად ლაბაზი და საინტერესოა ექვთიმესათვის პეტერბურგში სწავლის პერიოდი, სადაც ფოლკლორის კურსს მსოფლიოში სახელგანთქმული რუსი ფოლკლორისტი პროფესორი ალექსანდრე ვესელოვსკი უკითხავდა. ამის თაობაზე ექვთიმე თავის მოგონებებში აღნიშნავს: **“ჩვენ კარგი პროფესორი გვყავდა – ვესელოვსკი, ფოლკლორს გვიკითხავდა. ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა პროფესორ ცაგარელთან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა “წიგნი სიბრძნე-სიტყვისა” თარგმნა რუსულად”**.

ექვთიმესთან ერთად მომავლის დიდი მეცნიერი ნიკო მარიც სწავლობდა, რომელიც სომხურში პროფესორის ქეობე პატკანიანის ლექციების კურსს ისმენდა (ეს ის ქეობე პატკანიანი, რომლის საქართველოს საწინააღმდეგო **“სომხური ოინებო”** გამოააშკარავა დიდმა ილიამ თავის უკვდავ ნაწარმოებში **“ქვათა დაღადი”**). პატკანიანი ნამდვილ ლექციებს კი არ კითხულობდა, შემოსუტანდა სტუდენტებს ბიბლიას, **“ვეფხისტყაოსანს”**, მოსე ხორენელს, აკითხებდა და ასე ამეცადინებდა. ნიკო მარს, ამგვარი სწავლის კურსი, როგორც ჩანს, სრულიად არ აკმაყოფილებდა და ერთხელ თურმე ქეობე პატკანიონს საჯაროდ განუცხადა: **“ბიბლია უთქვენოდაც კარგად ვიცით, სჯობს სომხეთის ისტორია წაგვიკითხოთ”**. ქეობე

პატკანიანმა თურმე პირდაპირ უპასუხა: **“Какую я вам армянскую историю буду читать? Это Вам не римская история”** –ო.

პეტერბურგიდან ექვთიმე თაყაიშვილი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით წამოვიდა და თბილისის სათავადაზნაური სკოლისა და გიმნაზიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს სიძველეება შეკრებისა და მათი მეცნიერული დამუშავებისათვის, რისთვისაც მან პედაგოგობასაც კი დაანება თავი და მხოლოდ საარსებო წყაროს მოსაპოვებლად მასწავლებლობდა ჯერ თბილისის ქალთა პირველ, შემდეგ კი მე-6 გიმნაზიაში. 1907 წელს ექვთიმემ დააარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც თავად იყო. სულმნათი ექვთიმე ასევე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნაში, იყო მისი ერთ-ერთი პირველი პროფესორი და არქეოლოგიის კათედრის გამგე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ქართული სამეცნიერო თუ შემოქმედებითი ინტელიგენციის უამრავ თვალსაჩინო წარმომადგენელს აუწეა ბიოგრაფია, რაც ექვთიმე თაყაიშვილსაც შეეხო. როცა მენშევიკებმა გაქცევისას საქართველოს სულიერი საგანძური გააფიქრეს ხელს, ექვთიმე დაუფიქრებლად წავიდა სამშობლოდან და ამ განძის მცველის ფუნქცია იკისრა. 1921-1945 წლები მან საფრანგეთში გაატარა. მისი ნებისყოფისა და თავდაუზოგავი მცდელობის შედეგი იყო ამ საგანძურის დაცვა თითქმის აუტანელ პირობებში. შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, ექვთიმემ მცირედი დანახოვით თხა შეიძინა და მისი რძით გააქონდა ტანჯული წუთისოფელი. და ეს მაშინ, როცა საფრანგეთის ოფიცოზი ემუდარებოდა, რომ პარიზში ქართული საგანძურის გამოფენა მოეწყო, რაც დიდ შემოსავალს უქადადა მის ორგანიზატორებსა და პირადად ექვთიმეს.

– ქართველი ერის ნებართვის გარეშე არავის აქვს უფლება, რომ თუნდაც თვალი შეავლოს ამ წმინდა საგანძურს! – იყო ლამის ქვედაცხელი, შიმშილისაგან დამდნარი, ძვალ-ხორცად აღანდული წმინდანის პასუხი.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო პარიზის ნუმიზმატური საზოგადოებისა და საახოი საზოგადოების წევრი და ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მუშაობას. აქტიურად მონაწილეობდა ისეთი სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორიცაა **“ბიზანტიონი”**, **“გეორგია”** და სხვები, აქვეყნებდა გამოკვლევებს საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში მის ნარკვევებში უხვად არის წარმოდგენილი ახალი ცნობების შემცველი მასალა, რომლის შუქზედაც სრულიად ახლებურად გამოიყურება ზოგიერთი ისტორიული ფაქტი, ნათელი ხდება ესა თუ ის მოვლენა, ზუსტდება თარიღები, დგინდება ამა თუ იმ პირის ისტორიული ვინაობა. მის პირუთვნელ კალამს ეკუთვნის ბრწყინვალე ნაშრომები: **“მეფეთა და კათალიკოსთა სულის მატანე ნიკორწმინდის ხელნაწერში”**, **“სომხით-საორბელის ძეგლების წარწერები”**, **“პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი საიდუმლო დამწერლობის ნიშანი”**, **“ქართული სიახლენი ევროპელ ანტიკვარებთან”** და სხვა.

ექვთიმე თაყაიშვილი იკვლევდა ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემებს. მან ღრმად შეისწავლა ბარათაშვილისეული, დადიანისეული, თეიმურაზისეული, რუმინცივისეული, ჯანაშვილისეული და მარიამისეული **“ქართლის ცხოვრების”** ტექსტები, რომლის შედეგები ჯერ კიდევ 1906

წელს გამოაქვეყნა. დიდი მნიშვნელობა აქვს ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებს: **“არქეოლოგიური ექსკურსიები”**, **“ხელნაწერთა აღწერილობანი”** და მისი რედაქტორობით გამოცემულ ნაშრომებს **“ძველი საქართველო”**, **“საქართველოს სიძველეები”**, რომელშიც მისი გამოკვლევებიც არის ჩართული. ექვთიმემ აღმოაჩინა და მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი **“ხელმწიფის კარის გარბევა”**.

ექვთიმე თაყაიშვილი ეწეოდა ფართო არქეოლოგიურ საქმიანობას. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაითხარა წინაქრისტიანული ხანის სასაფლაო დებულის ხეობაში, სოფელ ვორნაკში. მასვე მიუძღვის დიდი ღვაწლი ახალგორის განძის შეგროვებასა და დაცვაში. მან კვლდაკვად სდია ამ განძის შემსყიდველ-გადამყიდველებს, განძის უმეტეს ნაწილს თავი მოუყარა და საბოლოოდ კავკასიის მუზეუმში დააბინავა. მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურ მოგზაურობას სამხრეთ საქართველოში. პირველი ექსპედიცია 1902 წელს შედგა, სადაც ექვთიმეს თან ახლდნენ ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი, ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაშვილი და სხვები. გამოკვლეული იქნა ახალციხისა და ახალქალაქის, აგრეთვე არტაანისა და ოლთისის ოლქების ზოგიერთი ისტორიული ძეგლი. 1907 წელს კი ექვთიმემ ხუროთმოძღვარ ალექსეი კალგინთან და ფოტოგრაფ ელუარდ ლიოხენთან ერთად შეისწავლა არტაანის ოლქის კოლის რაიონის ძეგლები და დაამთავრა ოლთისის ოლქის ძეგლების შესწავლა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წელს მოწყობილი ექსპედიციის, სადაც მას ახლდნენ ხუროთმოძღვარი ალექსეი კალგინი, მხატვრები: დათიკო შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი და მიხეილ ჭიაურელი. ექსპედიციამ შეისწავლა ხახულის, იშხნის, ოშკის, ექქისა და სხვა ტაძრები: ოთხთა ეკლესია, თორთუმის ციხე და სხვა.

ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა და გადმოიღო მრავალი ძვირფასი წარწერა, გაარკვია მანამდე ლიტერატურაში უცნობი ზოგიერთი მონასტრის სახელი. მისმა არქეოლოგიურმა მოგზაურობებმა დიდი როლი ითამაშეს ქართული კულტურის ძეგლების აღწერისა და შესწავლის საქმეში. ექვთიმეს ნაშრომი **“მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის”** 1911 წლის 28 მარტს დაჯილდოვდა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების დიდი ოქროს მედლით.

სულმნათმა ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი ამაგი დასდო ძველი ქართული მწ-

ერლობის ძეგლების კვლევისა და გამოცემის საქმეს, შეაგროვა და აღწერა რუსეთის პოემის ხელნაწერების ერთი ნაწილი, ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა, რომ ვახტანგ მეექვსის მიერ გამოცემული **“ვეფხისტყაოსანი”** ვრცელი ხელნაწერების შემოკლებულ რედაქციას უნდა წარმოადგენდეს. მან გამოსცა **“სიბრძნე ბალავარისა”**, **“მელის წიგნი”**, **“თიმსარიანი”**, მეცნიერულად აღწერა **“აბდულმესიანის”**, **“თამარიანის”**, **“ამირანდარეჯანიანის”**, **“როსტომიანის”**, **“შაჰნავაზიანის”**, **“ბარამიანის”**, **“ქილილა და დამანას”** შინაარსი და ამით დიდი როლი ითამაშა ძველი ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრებისა და გამოცემის საქმეში. ექვთიმე რედაქტორობდა **“ხალხური სიტყვიერების”** ორტომეულს, რომელიც 1918-1918 წლებში გამოიცა.

ხანგრძლივი ემიგრაციის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოში დაბრუნდა განძთან ერთად, მაგრამ, იგი მაინც ბოლშევიკთა მიერ **“შერისხული”** ხალხის კატეგორიას მიეკუთვნებოდა და მასთან ურთიერთობას ბევრნი გაურბოდნენ. ამიტომაც იყო, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ამ ამგდარი და ერის საზრუნავს გადაგებული ადამიანის კუბოს სასაფლაომდე სულ რამდენიმე კაცი მიაცილებდა.

შესანიშნავად დაახასიათა ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნება ასევე საქართველოს სულიერებისა და ტრადიციების დაცვის საქმეს შეწირულმა დიდმა ქართველმა მეცნიერმა და მამულიშვილმა გურამ შარაძემ, თავის შესანიშნავ წიგნში **“ასე იწყებოდა წმ. ექვთიმე ღვთისკაცი თაყაიშვილი”**:

**“წმინდანი და ერისკაცი!**

**ილია ჭავჭავაძის შემდეგ წმინდანობა და ერისკაცობა ისე არავის შეუღლებებია და შეუსისხლხორცებია ერთმანეთში, როგორც ექვთიმე თაყაიშვილს!**

**ჩვენ აქამდე მიჩვეული ვიყავით ერთ უღელში გაბმული ორი ღვთაებრივი სახელის ერთად წარმოთქმას:**

**ილია და აბაკი!**

**ახლა ჩვენში თანდათან მკვიდრდება მეორე ღვთაებრივი წყვილის სახელი:**

**ილია და ემშთიმი!**

**ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ შერაცხა ერთიც და მეორეც წმინდანებად და ღვთისკაცებად, ერის სინდისად და ერისკაცებად! ამიტომაცაა და ალბათ, ღრმად სიმბოლურიც, რომ ახლა ისინი მთაწმინდაზე უკვე სამუდამოდ ერთმანეთის გვერდით განისვენებენ, როგორც მისი უკვდავი ბინადარნი!”**

**როლანდ ჯვალაღანიანი**



თაყაიშვილების სახლი სოფელ ლიხაურში



# ლაპრენტი ბერია — ქართული ბერია



## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალალანიასი

უშიშროების უფროსი მაიორი, უშიშროების კაპიტანი, უშიშროების უფროსი ლეიტენანტი, უშიშროების ლეიტენანტი, უშიშროების უშიშროების ლეიტენანტი, უშიშროების სერჟანტი.

ეს წოდებები ორი საფეხური მადლა იდგა საარმიო წოდებებზე. მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის კომისარი გათანაბრებული იყო არმიის გენერალთან, კაპიტანი იგივე საარმიო პოლკოვნიკი იყო, სერჟანტობა კი არმიის ლეიტენანტობას უდრიდა.

1935 წლის 26 ნოემბერს კი შემოიღეს “სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის” წოდება, რომელიც ჯერ იაგოდას მიენიჭა, შემდეგ ეკოვს, ბოლოს კი ბერიას.

ამ ამბებიდან ათი თვის შემდეგ იაგოდა გაანთავისუფლეს შინსახკომის თანამდებობიდან, 1936 წლის 26 სექტემბერს კი ამ თანამდებობაზე დაინიშნა ნიკოლოზ ეკოვი, რომელიც მანამდე ცეკას მდივანად და პარტიკონტროლის კომისიის თავმჯდომარედ მუშაობდა. იაგოდა კი 1937 წლის 3 აპრილს დააპატიმრეს და 1938 წლის 15 მარტს, ბუხარინ-რიკოვის სასამართლო პროცესის შემდეგ, სადაც იგი ერთ-ერთი მთავარი ბრალდებული იყო, დახვრიტეს.

ეკოვი შინსახკომის თანამდებობიდან გაათავისუფლეს 1938 წლის 25 ნოემბერს, 1939 წლის 10 აპრილს დააპატიმრეს და 1940 წლის 4 თებერვალს დახვრიტეს.

ამ ორი სახალხო კომისრის ბედს სტალინის კაპრიზებს უკავშირებენ, მაგრამ ეს ასე არ არის. თუმცა მე არ გამოვიცხავ, რომ სტალინს საკუთარი გეგმები გააჩნდა, რომელიც შექმნილ სიტუაციასთან ერთად იცვლებოდა.

მაგრამ ამის თაობაზე მაშინ მოგითხრობთ, როცა 1937 წლის აგვისტომდე მივალთ.

30-იანი წლების რეპრესიების ყოვლისმომცველი და ობიექტური ახალიზი ჯერ არ გაკეთებულა. ამ საკითხში არსებული აზრთა სხვადასხვაობა წიგნის ფარგლებს სცილდება, მაგრამ, ვინაიდან “დემოკრატები” ამბობენ “ბერიას” და ამ სიტყვაში გულისხმობენ “რეპრესიას” (იმ შემთხვევაში, როცა კი, როცა იმ დროის რეპრესიებში, ბერია კავკასიაში მუშაობდა), ამ საკითხზე რაღაც მაინც უნდა ვთქვათ...

სტალინური ეპოქის სიმბოლოდ “დემოკრატები” მიიხსენიებენ არა საბჭოთა მოქალაქე ვერა მუხინას მიერ პარიზის გამოფენისათვის სპეციალურად შექმნილ “მუშისა და კოლმეურნე ქალის” ქანდაკებას, არამედ სტალინის მიერ 1932 წლის 7 აგვისტოს გამოცემულ კანონს სოფლის მეურნეობაში წესრიგის დამყარების თაობაზე.

როგორც “სტალინისა და კავანოვის” მიწერულ წიგნშია აღნიშნული, “ეს დონისიბეა მიმართული იყო მოშიშმდე გლეხთა წინააღმდეგ, რომლებიც სიცოცხლის გადასარჩენად საკოლმეურნეო მინდვრებზე მწვანე ხორბლის თავთავებს კრეფდნენ.”

ნუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ქრისტემ ხუთი პურით გამოკვება მთელი ბრბო. მაგრამ, უმწიფარი მარცვლებით შიმშილს ვერ დაიცხრობ და ხალხი მართლაც ეტანებოდა პურის ყანებს. მე ირონიზირებას არ ვახდენ — უკრინაში შიმშილისაგან კინაღამ დაიღუპნენ ჩემი ბები და მისი სამი ქალიშვილი. ასე რომ, ვიცი — შიმშილი ნამდვილად იყო და იყვნენ მოშიშმდე გლეხებიც.

“დემოკრატთა” მონაცემებით იმ პერიოდში (1932 წლის 7 აგვისტოდან 1933 წლის 15 იანვრამდე) გასამართლდა 103 ათასი კაცი (დადგენილია 79 ათასი), რომელთაგან დაიხვრიტა 4.800, 10 წელი კი მიესაჯა 26 ათას კაცზე მეტს...

უცნაურია! შიმშილობდნენ მილიონები,

გასამართლებულია მხოლოდ ასი ათასამდე ადამიანი.

უცნაურია სხვა რამეც... 15 იანვარი რუსეთში ზამთარია, 7 აგვისტო კი ზაფხულის მიწურული და მოსავლის აღება ამ დროისათვის უკვე დასრულებულია. ამასთან, საკოლმეურნეო მინდვრებისა და წარმოება-დაწესებულებების დაცვის ინსტრუქცია დამტკიცდა 1932 წლის 16 სექტემბერს.

მაშინ რა მწვანე თავთავების ქურდობაზეა საუბარი, რის გამოც ასიათასობით ადამიანი გაასამართლეს 1932 წელს?

პასუხს ისევ ამ ინსტრუქციაში ვიპოვებ, სადაც საუბარია კოლმეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების და საზოგადოებრივი ქონების (სოციალისტური საკუთრების) ხელყოფისაგან დაცვაზე.

ამ დადგენილების ინიციატორი იოსებ სტალინი 1932 წლის 20 ივლისს წერდა კავანოვის და მოლოტოვს:

“უკანასკნელ პერიოდში გახშირდა, ჯერ ერთი, ქურდობა რკინიგზის ტრანსპორტზე (დანაკარგი მილიონებს აღწევს), მეორეც, კოოპერატიული და საკოლმეურნეო ქონების ხელყოფის ფაქტები... კანონით, ამ ბატონებს (ქურდებს) მხოლოდ ორი-სამი წლით პატიმრობას უსჯიან, თვის შემდეგ კი გაერთ გამოდიან. ეს რეჟიმი მხოლოდ ახალინებს მათ... შემდეგში ასე არ უნდა გაგრძელდეს. გთავაზობთ მიიღოთ კანონი, რომელიც:

- ა) სარკინიგზო ტვირთს გაუთანაბრებს საკოლმეურნეო ქონებას, კოოპერატიულ ქონებას კი სახელმწიფო საკუთრებას;
- ბ) დასჯა გაფლანგვისათვის... მინიმუმ 10 წლით ციხეში ჩასმით, ან, როგორც წესი — სიკვდილით...

ამგვარი დრაკონული სოციალისტური ზომების გარეშე შეუძლებელი იქნება ახალი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, ამგვარი დისციპლინის გარეშე კი შეუძლებელი იქნება ახალი სისტემის აშენება ჩვენს ქვეყანაში...”

ასე რომ, მილიონობით სახსრების (ერთობლიობაში) გაფლანგვისათვის 1933 წლის 15 იანვრამდე დახვრეტილ იქნა თითქმის 5 ათასი ადამიანი, მათ შორის რკინიგზაზე და წარმოება-დაწესებულებებში.

ჩვენ კი იმას გვიჩინებენ, რომ ხალხი მწვანე თავთავის ქურდობას შეეწირა.

მე ადრე სხვა მაგალითები მომიყვება, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ პირველი ხუთწლიანი პერიოდში რუსეთის საშინაო მტრები გამოცოცხლდნენ და გააქტიურდნენ. ხუთწლიანი ხომ მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. 1935 წელს სტალინი კრემლში გამართულ წითელი არმიის აკადემიის კურსდამთავრებულთა შეკრებაზე (რომელიც 6 მაისს “პრადაში” გამოაქვეყნა) იხსენებდა:

“ჩვენ წარსულისაგან მძიმე მემკვიდრეობა გვხვდა წილად ჩამორჩენილი ეკონომიკისა და გაძარცვული ქვეყნის სახით... ამის მიზეზი გახლდათ ოთხწლიანი იმპერიალისტური ომი, სამწლიანი სამოქალაქო ომი, ქვეყანაში დაბალი განათლების დონე...”

აუდიტორიამ კარგად იცოდა რომ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი სავსებით მართალი იყო... მართალი იყო მაშინ, როცა ამბობდა:

“ჩვენი ამოცანა მდგომარეობდა ქვეყნის სხვა რეგისტრებზე გადაყვანაში... ეს გახლდათ თანამედროვე ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის გზა... საკითხი კი ასე იდგა — ან ჩვენ წარმატებას მივალწვევით უმოკლეს ვაღებთ, ან ჩვენს ქვეყანა დაპყრობა და მოუკიდებლობას და გადაიქცეოდა კაპიტალისტური სისტემის დანამატად...”

წითელი არმიის “აკადემიკოსები” გულდასმით ისმენდნენ იმას, რასაც მეორე დღეს

მთელი საბჭოთა კავშირი წაიკითხავდა:

“უნდა შეგვექმნა უმაღლესი კლასის ინდუსტრია... ამისათვის კი მსხვერპლზე უნდა წავსულიყავით, მკაცრად წარგვემართა ეკონომიკა, მომჭირნედ უნდა გვემუშავა კვების დარგში, სკოლებში, მანუფაქტურაში, დაგვეზოგა სახსრები ინდუსტრიის შესაქმნელად... ნათელია, რომ ასეთ დიდ და ძნელ საქმეში... წარმატებებს უცებ ვერ მივალწვევ. ამას კი სჭირდებოდა დიდი მოთმინება, ბოლშევიკური თავშეკავება, რათა გადაგველახა პირველი სიძნელეები და წარმატებით გვევლო წინ...”

სტალინი ასე უხის მართალი იყო, მაგრამ მის სიძნელეს სულაც არ იწონებდა სურსათისამართმეული კულაკი, მშვიერი ქალაქელი ობიგატელი და მგლის მადის მქონე ბიუროკრატი.

ისინი ყველანი უკმაყოფილონი იყვნენ ცხოვრების დონის გაუარესებით, რის გამოყენებასაც საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ცდილობდნენ გარკვეული პოლიტიკური ძალები — ტროცკისტებით დაწვებული, რომლებიც სტალინს ებრძოდნენ და ანტისაბჭოელებით დამთავრებული, რომლებიც სტალინსაც ებრძოდნენ და საბჭოთა ხელისუფლებასაც.

ასე რომ, ცხოვრება თავისთავად აყენებდა დღის წესრიგში რეკონსტრუირების საკითხს.

მაგრამ ეს ხდებოდა 30-იანი წლების პირველ ნახევარში. მაგრამ, როგორ იქნება საქმე მეორე ნახევარში?

წინ მივდევს შავგარეკანიანი წიგნი, რომელსაც სისხლისფერი ასოებით აწერია: “კალინინის ოლქში რეპრესირებულია სსრკ-ის წიგნი. მარტივობა. 1937-1938”.

ეს სვედისმომგვრელი დოკუმენტია. მაგრამ, პასკვილური კრებულებისაგან განსხვავებით, იგი მაინც დოკუმენტია (თუმცა მასშიც ჭარბობენ დამახინჯებული ფაქტები). დოკუმენტებთან მუშაობა კი ადვილია... თქვიდან ფაქტების ამოღება შეიძლება.

მართლაც რომ ღირს მათი მოხმობა. მაგალითად, გ.პ. ცვეტკოვის შესავალ სტატიაში აღნიშნულია, რომ კიროვის მკვლელობის შემდეგ:

“მთავარი პოლიტსამმართველოს კოლეგია შეცვალა შინსახკომთან არსებულმა საგანგებო კრებამ, რომელსაც ეძღვრდა გასახლეებისა და გადასახლების უფლება, შრომა-გაასწორებით კოლონიებში 5 წლამდე ვადით”.

აქვე მივანიშნებ, რომ აღნიშნული კრების გარდა 1933 წლიდან ფუნქციონირებდა “სამეულის” ინსტიტუტიც, რომელსაც სასჯელის უმაღლესი ზომის მიყენების უფლება ჰქონდა. ახლა კი კვლავ ცვეტკოვის სტატიის ციტირებას შევუვლი:

“სსრკ შინსახკომის 1935 წლის 27 მაისის ბრძანებით რესპუბლიკების შინსახკომებში, მხარეთა და ოლქთა შინსახკომების სამმართველოებში შეიქმნა შინსახკომის სამეულები, რომლებზეც გაგრძელდა საგანგებო კრების უფლებამოსილებანი. სამეულებში შედიოდნენ შინსახკომის სამმართველოთა ხელმძღვანელები, მილიციის სამმართველოს უფროსები და პროკურორები. მათ შემადგენლობას ამტკიცებდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანოები. გარდა ამისა, 1937 წელს დამტკიცდა ორეული სსრკ შინსახკომისა და სსრკ პროკურორის შემადგენლობით. სამეულები და ორეული გამოირჩეოდნენ იმით, რომ სასჯელის უმაღლესი ზომის მიყენების უფლება ჰქონდათ. ეს ორგანოები 1938 წლის აგვისტოში გაუქმდა, რომლის შემდეგ 1953 წლის სექტემბრამდე ფუნქციონირებდა მხოლოდ საგანგებო თათბირი.”

გაგრძელება იქნება



# დეკანოზი დავით ფიფია ზვიად გამსახურდიას რუსეთთან ნორმალური დამოკიდებულების აღდგენას სთხოვდა.

1991 წლის 27 ნოემბერს ზუგდიდელმა დეკანოზმა დავით ფიფიამ საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას მიმართვის წერილი გაუგზავნა. ამ წერილის გაგზავნის მოტივი იყო ის გამოცხადება, რომელიც დეკანოზმა 1991 წლის 12 აპრილს იხილა. ეს წერილი იმითაც არის საინტერესო, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხება, რომელიც ძალიან აქტუალურია ამჟამად. დეკანოზი დავით ფიფია რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. საქართველოს მასშტაბის მისი წერილი მისმა შვილმა, ეროვნული მოძრაობის აქტიურმა წევრმა – რევაზ ფიფიამ გადასცა.

აი რას წერდა დეკანოზი დავით ფიფია საქართველოს პირველ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას: „თქვენ გეგმა საქართველოს დამოუკიდებლობისა

– ეს დიდი და საშური საქმეა, მაგრამ დიდად სახიფათო საქმეცაა, იმიტომ, რომ აუცილებლად ხელს შეუწყობს მსოფლიოში მუსლიმანთა მრავალსაუკუნოვან ნატვრას, რათა სამუდამოდ დაეცეს საქრისტიანო, დაიშალოს, დასუსტდეს და მეტე ადვილად დაიმორჩილოს, ე.ი. პრაქტიკულად მსოფლიო ქრისტიანობას (მართლმადიდებლობას) უეჭველი დაღუპვით ემუქრება და შესაძლებელია, საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდეს.

1989 წლის 9 აპრილის მესამე დღეს მომეცა ჩვენება – აფორინდი ზეცად, ავედი და დავედქი ზეცის ტრაპეზის წინაშე. ჩემს წინაშე იდგა წმინდა ტრაპეზი, ჩემს მარცხნივ – მთავარანგელოზი და მითხრა ბრძანების კილოთი: აი, კავკასია! აი, შენი საქართველო! ტრაპეზზე ასევე იდო კოლოფი დამწვარი, მთლიანად შავი, წინა და უკანა გვერდები მოჭრილი და ზედა

ფენიდანაც გვერდი ამოჭრილი ჰქონდა. კოლოფი იყო ცარიელი და დანახშირებული – ჩვენება იყო იმის უტყუარ ცნობად, რომ დამოუკიდებელი საქართველო მალე სრულიად დაიწვეება, როგორც სანთელი და წარიწყმიდება როგორც ვერც, ისევე ბერიც.

თქვენი პირველი პლატფორმა იყო და არის ბრძნული და კეთილი, მაგრამ სამწუხაროა, რომ თქვენ აღარ მოგეცათ მისი ცხოვრებაში გატარების საშუალება. თქვენს გვერდით აღმოჩნდნენ აშკარა ხელის შემშლელები, თორემ ადარ გამწვავებულა საქართველოს საქმე და ბედი. მაპატიეთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, თქვენ თუ ვერ შეძლებთ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ნორმალური დამოკიდებულების აღდგენას, საქართველო ნამდვილად დაიღუპება.

აი, ეს ჩვენება იმიტომაც მომეცა, რომ მეთქვა და არ დამემალა თქვენთვის

სიმართლე. ბევრჯერ მოვინდომე, მაგრამ ვერ მეფო გამბედაობა თქვენთვის დღემდე მომეწერა ეგე საქმე ყოველი. მე ყველერი უფალსა, ღმერთსა ჩვენსა და დედა მშობელსა საქართველოს საქმე გადაწყვეს ჩვენდა საბედნიეროდ, ისე, როგორც მაღალ ღმერთს გაეხარდება. ვინაობით, ღვთის მადლით, ყოველივე კარგად გაკეთდეს და საქართველო დაღუპვას გადაარჩეს“.

რა რეაქცია ჰქონდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ჩვენთვის უცნობია, თუმცა მას ბევრი არ დასცლია, მალე იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კი ყოველწლიურად უარესდებოდა და 2008 წლის აგვისტოში კულმინაციასაც მიაღწია, რამაც საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა.

ზუგდიდი, ლალო ქირია

## რა დოკუმენტს მოანერგა ხელი ნინო ბურჯანაძემ 2004 წლის 22 იანვარს

ინაუგურაციამდე საპარტიო პარტიანობის მოვალეობის შესრულების ნინო ბურჯანაძემ ო. დაბრუნდაშივის ბორჯომ-ლიქანიის რაიონული და 40 პაქარაძე ვინა, პირდაპირი მიუძღვის ნაწილ, ლალოს უფროდ გადასცა

პრესაში გვერდი ბორჯომის, ლიქანის, ბაკურიანის მიწების გასხვისებაზე; ბევრი რამ პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდებოდა ყოფილ და ახლანდელ ჩინოსნებს, მათ შორის სახელმწიფო მინისტრ ზინაიდა (ზურტა) ბესტაევას საქმიანობას ადრეც და ახლაც.

იმ ზინაიდას, რომელიც საეჭვოდ გამდიდრდა ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შემდეგ, რამეთუ რაულ უსუპოვი (ჟვანიას შესაწირი პირი და „მასთან ერთად“ (?)) „გაზით გაგუდული“, მასთან მუშაობდა და სწორედ ზინაიდამ და მისმა ხელქვეითებმა (არაგინ იცის ვისი დავალებით) „ხელფასის ასაღებად“ გამოიძახა კანცელარიაში რაულ უსუპოვი იმ საბედისწერო 2005 წლის 2 თებერვალს, როცა დამე აღარ გაუთენდა!

წერილებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა... მიწებთან დაკავშირებით (?), ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის საკითხს – ნაკლებად (?).

თითქმის „მთელი ბაკურიანი“ მოვიდა ჩემთან დოკუმენტების ტომებით. გაოგნებული ვიყავი, სად ვცხოვრობთ, რა ხდება? ვინ ეპატრონება ძალით თუ ეშმაკობით ყველასათვის ოცნებად ქცეულ საქართველოს ჭეშმარიტ სამოთხეს?

მაინც ვინ არის ეს ქალი ან საიდან გაჩნდა იგი ქართული პოლიტიკის „ცისკა-აბადონზე“, როცა ერთ დროს თბილისი-მოსკოვის მატარებელში „ფოჩიან კანფეტებს“ ყიდდა და საქართველოში ერთ-ერთ „სასტუმროში“ „ეტიჟინცად“ მუშაობდა სამხედროებთან?

ჩემდა გასაოცრად, წერილები აღარ დამიბეჭდეს (?). სანაცვლოდ ბესტაევას ქმრის, შვილისა თუ მეგობრების სატელეფონო ზარები მრავლად იყო. „მესიჯებს, თანაც მუჭარის“ (?), უგზავნიდნენ იმით, ვისაც შეეძლო ჩემთვის ინფორმაციების მოწოდება.

მივიღე ზომები. ბესტაევას „მფარველი ანგელოზის“ – გივი თარგამაძის მისაღებად დაგვრეკე და საქმის კურსში ჩაგაყენე მდივან-თანაშემწე; ვთხოვე, გადაეცა თარგამაძისთვის ყველაფერი. გივის ჩემთვის არ დაურეკავს, მაგრამ უზომოდ გაგუდავებულნი „ბესტაევისტები“ მიუჭრდნენ, ალბათ, დროებით.

სულ ახლახან კი „შემეხმებანენ“ და კატეგორიულად

განმიცხადეს: „თუ სიმართლისთვის იბრძვი, უფრო „დიდებით“ დაიწყე და გამოაქვეყნე, რა მოხდა 2004 წლის იანვარში პრეზიდენტის ინაუგურაციამდე 3 დღით ადრე“. საეჭვო ხარს კი ხელად დოკუმენტიც მოაყოლე.

არ ვიცი ეს „ზურტა ბესტაევას ნობათია“ თუ რა, მაგრამ მის მეტს ვის მიუწვდებოდა ხელი საქართველოს პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლის – ქალბატონ ნინო ბურჯანაძის „არქივზე“?

საყურადღებოა, რომ ეს ხდება იმ დროს, როცა მაგრად გააძარბებოდა ქალბატონი ნინო წყნეთის ავარაკის ამბავი.

უკან არ ვიხევე, ვაქვეყნებ ამ დოკუმენტებს და ვთხოვ ქალბატონ ნინოს, განმარტება მისცეს ხალხს. ასე უკეთესია, ბოლოსდაბოლოს, ყველა კითხვაზე რომ გასცემს პასუხს, უფრო რადიკალი და უფრო გაბედული იქნება, თორემ ისეთი სიბინძურებისთვის ემზადებინ, ხელიც რომ მომაჭრან, იმ მასალებს არ და ვერ გამოვაქვეყნებ, რადგან სიცრუეა.

სხვათაშორის, იმ სიბინძურების ტირაჟირება ადრეც უცდიათ (ბატონ ბადრი ბიწაძეს ეს არ დაავიწყდებოდა, რადგან მისი ორგანიზატორი, აწ განსვენებული „კოლეგა“ იყო). მაშინ გამოუცდელი, მაგრამ სკანდალების მოყვარული ჟურნალისტები, მე გაეჩაერე... უბრალოდ, სიმართლე ვუთხარი და გაიბეც.

ენახოთ, რა მოხდა 2004 წლის იანვარში, პრეზიდენტის ინაუგურაციამდე 3 დღით ადრე, როცა პრეზიდენტის მოვალეობას ქალბატონი ნინო ასრულებდა?

„არაფერი განსაკუთრებული“ (?). 2004 წლის 21 იანვარს (ინაუგურაციამდე 4 დღით ადრე), საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის დროებით ორჯერ შემსრულებელ, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს გაუცია №490-ე დავალება.

მეორე დღესვე, 2004 წლის 22 იანვარს (ინაუგურაციამდე 3 დღით ადრე), საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს გამოუცია ბრძანება №01/01/9 (?), „სახელმწიფო რეზიდენცია „ბორჯომ-ლიქანის“ ბაკურიანის დასასვენებელი სახლის 2004 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცების შესახებ“.

ხელს აწერს ი. რეხვიაშვილი (მგონი მინისტრი (?)). იმავე დღეს (?), 2004 წლის 22 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება გამოიცა (№32), რომელსაც ხელს აწერდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე.

რა წერია ასე სასწრაფოდ „პრივატიზებულ“ განკარგულებაში?

თუ მინისტრის ბრძანებაში რეზიდენციის, დასასვენებელი სახლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანაზე ლაპარაკი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულებაში მიწაც ფიგურირებს.

განკარგულების თავსართი ასეთია: „სახელმწიფო

რეზიდენცია „ბორჯომ-ლიქანის“ ბაკურიანის დასასვენებელი სახლისა და მასზე დამატებული მიწის ფართობის ო. დაბრუნდაშივის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.

ო. დაბრუნდაშივს გადაეცა 375 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების ქონება; მიწის ნაკვეთი – 339.250 კვ.მ.

განკარგულებაში (პუნქტი 1), წერია, რომ ამ კაცს პრეზიდენტის რეზიდენციის მოსაწვობად სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ (!) გადაეცა მის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მაგრამ ჩნდება კითხვები:

ვინ არის ო. დაბრუნდაშივილი?  
რა კერძო ნაკვეთი ჰქონდა, სად და რამდენი, რა ღირდა?

სად შენდებოდა ახალი რეზიდენცია, როცა ძველს ო. დაბრუნდაშივილი „ყიდულობდა“, ფაქტიურად მართლაც უსასყიდლოდ?

რა ბედი ეწია ო. დაბრუნდაშივის ბიზნეს გეგმას? ვისაც მაშინ დაევალა „შესაბამისი დონის ობიექტების გატარება“ (მინისტრი ი. რეხვიაშვილი და სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გ. მარტინენკო), დიდი ხანია პოსტზე აღარ არიან.

მართლაც, რა მოხდა და რა ხდება?  
ვეფიქრობთ, ახლა, ანუ ოპოზიციაში გადაბარების შემდეგ მაინც უნდა ინებოს ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, რადგანაც ხალხი, რომლის წინამძღოლობის პრეტენზიაც მას დაუფარავად აქვს, სულ ცოტა, ღირსია, ის მაინც იცოდეს, ვის რა და რატომ მიაქვს „შინ“!

მაყვალა ბერიანიძე

“დემოკრატია ხალხის ხელისუფლებაა. მაგრამ ხელისუფლება მხოლოდ მაშინაა ხელისუფლება, როცა მის მფლობელს შეუძლია წახალისება და დასჯა. თუ ხალხს არა აქვს საშუალება მის მიერ დაქირავებული მუშაკების – ქვეყნის ხელმძღვანელობის დასჯისა, მაშ რა ხელისუფლებას ფლობს იგი?  
ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის თებერვალი”

## რუსულ ჯარს მთელ მსოფლიოში გამოიყენებენ

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ საბოლოო მესამე მოსმენით მიიღო პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მიერ შეთავაზებული შესწორებები „თავდაცვის შესახებ“ კანონში. ეს შესწორებები მნიშვნელოვნად გაზრდის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საზღვრებს გარეთ ოპერატიული გამოყენების შესაძლებლობებს. ექსპერტების აზრით, ახალი კანონის მიხედვით, მოსკოვს, აუცილებლობის შემთხვევაში, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოში აქვს სამხედრო ძალების გამოყენების უფლება.

ამ მომენტისათვის მოქმედი კანონი „თავდაცვის შესახებ“ რუსული ჯარის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ სამ

შემთხვევაში: აგრესიის აუცილებელი მოგერიების, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის დაცვისა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებისათვის.

ახლა კი რუსეთის ფედერაციის ჯარის ამოცანებში შედის საზღვრებს გარეთ დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის ან სხვა ქვეყნების კონტინგენტებზე ტერორისტების ან სხვა ძალთა თავდასხმების მოგერიება, სხვა მეგობარი ქვეყნის მიმართ აგრესიის მოგერიება ან აღკვეთა, საზღვარგარეთ მყოფი რუსეთის მოქალაქეების დაცვა და საზღვაო მეკობრეობასთან ბრძოლა.

საერთო კენჭისყრით მიღებული კანონპროექტის თანახმად, სამხედრო ძალების ოპერატიული გამოყენების შესახებ შესაბამის გადაწყვეტილებას ფედერაციის საბჭოს სპეციალური დადგენილების საფუძველზე რუსეთის პრეზიდენტი მიიღებს. რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილებათა ობიექტური კონტროლისათვის საჭირო სამართლებრივი მექანიზმი ექნება.

რ. შალამბერიძე



# კავკასიის ემიგრაცია

**მოსკოვში აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის – პილარი კლინტონის ოფიციალური ვიზიტის დროს რუსეთის მიერ განხორციელებული განცხადება, რომ ჩრდილო კავკასიაში მომრავლებული ტერაქტების უკან „აღ-ქაიდა“ დგას, ხოლო მათ ამაში საქართველოს ხელისუფლება ეხმარება – წინა დღეების მთავარი სენსაცია იყო. ამერიკელებისთვის ამაზე უფრო საშინელი მესიჯი წარმოუდგენელია! ამიტომ შევეცადეთ, გავერკვეთ, თუ რა ხდება სინამდვილეში ჩვენს ჩრდილოეთით.**

ორივე სიტყვით შევხვებით ისტორიას: როგორც ცნობილია, რუსეთმა ჩრდილო კავკასიის ათვისება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. XIX საუკუნის შუაგულში მთიელები იმამ შამილის მეთაურობით აჯანყდნენ და ათწლეულების განმავლობაში აწარმოებდნენ განმათავისუფლებელ ომს. რუსების მიერ მათი წინააღმდეგობის გატეხვა მხოლოდ ქართველების დახმარებით გახდა შესაძლებელი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის იმპერიის გაუქმებასა და ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ჩრდილო კავკასიაში სრული ქაოსი მოჰყვა. მთიელი ტომები, ძირითადად, რუსებსა და გერმანულ კოლონისტებს პარტისიპანდნენ. 1919 წლის დასაწყისში იქ გენერალ დენიკინის „მოხალისეთა თეთრი არმია“ შევიდა, როგორც თვითონ ამბობდნენ, „ზურგში წესრიგის დასამყარებლად“. დენიკინის პროპაგანდა მთიელებს ორ ჯგუფად ყოფდა: „ერთნი, მშრომელი ხალხები, (კუმიკები, ოსები, ყაბარდოელები და ლეკები), ხოლო მეორენი, თავიანთი ველური ინსტიტუტების გამო, – ბანდიტური ცხოვრების მოყვარულები“. ადვილი მისახვედრია, თუ ვის გულიანობდნენ ამ მეორე ჯგუფში.

„თეთრებმა“ მთიელების წინააღმდეგ ტერორს მიმართეს, თუმცა ამავე დროს სრულ თვითმმართველობას სთავაზობდნენ. მარტში დენიკინმა ჩვენებს არმიაში სამსახური შესთავაზა და შეიქმნა ჩვენების დივიზია. მაგრამ ამან უკუშედეგი გამოიღო – ჩვენები უკვე სხვა მთიელებს დაუბრუნებდნენ.

1919 წლის მაისში კავკასიის ემირმა უზუნ-ხაჯიმ დენიკინის არმიას „მზავატი“, ანუ წმინდა ომი გამოუცხადა და დადესტანსა და ჩვენეთშიც დაიწყო ახალი აჯანყება. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ამ ომის მხარდამკრებად მოგვევლინენ ახლადშექმნილი სახელმწიფოები – აზერბაიჯანი და საქართველო. აზერბაიჯანი მთიელებს იარაღს აწვდიდა, ხოლო საქართველო, რომელსაც იარაღის დევიციტი ჰქონდა, ძირითადად ფულს აძლევდა. აი, რას წერდა ნოე ჟორდანიანი: „ჩვენ თვითონ გვიჭირდა, მაგრამ მთიელებს უარს არ ვუბნებოდით. რატომ? ამას მოითხოვდა ჩვენი ჩრდილო საზღვრების დაცვა. მთიელთა ძლიერი დამოუკიდებელი რესპუბლიკა – ეს იქნებოდა მოსკოვის დაპირისპირებული ციხე-სიმაგრე. მის არსებობაში ყველა ჩვენ ვიყავით დაინტერესებული“.

ავგისტოში თეთრები უკვე მხოლოდ რკინიგზას თუ აკონტროლებდნენ და მალე ბოლშევიკებმა ისინი გააძევეს, ხოლო კავკასიაში რაღაც ფედერაციის მსგავსი შექმნეს, რომელმაც დიდხანს არ იარსება – ამოქმედდა მზაკრული გეგმა ძველ იმპერიულ სტილში და შეიქმნა ორი

დაპირისპირებული ეთნო-სუბიექტის ავტონომიები, რომლებიც ნელი მოქმედების ნაღველია. მაგალითად, ყაბარდოელები და ჩერქეზები ერთი ტომის ხალხია, მაგრამ სხადასხვა ავტონომიებში მოხვდნენ, ხოლო მათთან ერთად მათ ავტონომიებში განაწესეს თურქულენოვანი ხალხები – ბალყარები და ყარაჩაელები. ხოლო დადესტანი კი საერთოდ სრულიად განსხვავებული, როგორც კავკასიური, ისე მონღოლური წარმომავლობის ეთნოსების კრებულია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში პირველმა დამოუკიდებლობა ჩვენ-ინგუშეთის ავტონომიამ გამოაცხადა. როგორც ცნობილია, ჩვენების დამოუკიდებლობას დიდ უჭერდა მხარს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ისიც ცნობილია, რომ მთიელთა კონფედერაციამ თავის დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადა, ხოლო აფხაზეთის ომში სისასტიკით გამოირჩეოდა ჩვენების „აფხაზური ბატალიონი“, რომელსაც მეთაურობდა ჩვენების ყველაზე განთქმული საველე მეთაური შამილ ბასაევი. შემდგომში მას სეპარატისტებმა „აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის“ სტატუსი მისცეს. ომის დამთავრების შემდეგ ჩვენი ბოევიკები და აფხაზი სეპარატისტები წაიხეზნენ და მოგვიანებით შამილ ბასაევმა ბოდიშიც კი მოუხადა ქართველ ხალხს იმ საზარელი ქმედებების გამო, რომლებსაც მისი მეომრები სწადიოდნენ აფხაზეთში ომის დროს. ხოლო დამოუკიდებლობა იქერიამ დიდხანს ვერ იარსება და თავის პირველ პრეზიდენტთან ერთად შეწყვიტა არსებობა, ბევრი ჩვენი მეტროპოლი ტყეში გავიდა და პარტიზანული ბრძოლა დაიწყო, ანუ ტერაქტებზე გადავიდნენ.

1999 წელს მოსკოვში ჩატარებული ორი ტერაქტის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა მეორე ჩვენური ომი დაიწყო. ვინაიდან ეს სულ ახალახან იყო, მე მასზე ადარ შეგხერდები, მხოლოდ გავისხენებ, რომ ჩვენების მონათესავე ქისტებით დასახლებული პანკისის ხეობა ჩვენი ბოევიკების მოსამზადებელი ბაზა გახდა. საქართველოს ხელისუფლება ამას დიდხანს უარყოფდა, ვიდრე რუსეთი დაბოძებით არ დაემუქრა. ვინაიდან იქ „აღ-ქაიდას“ კვალის დაფიქსირება, უკვე ამერიკული სპეცსამსახურები დაინტერესდნენ. სწორედ მათ მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად გაიწმინდა პანკისი ბოევიკებისაგან, თუმცა დღემდე ბურუსში გახვეული რჩება გილავეის ბოევიკების გადაყვანა კოდორის ხეობაში და „რუსთავი 2“-ის 9-საათიან „კურიერში“ გაკეთებული ომახიანი განცხადება: „ჩვენებმა სოხუმი დაიკავეს!“ სინამდვილეში ისინი უპრობლემოდ გადავიდნენ ჩრდილო კავკასიაში, სადაც მალე ჩუმად ამოსოცეს.

დღეს ჩვენებს მართავს ავტორიტული მმართველი რამზან კადიროვი. მას უფრო მეტი ძალაუფლება და დამოუკიდებლობა აქვს, ვიდრე ჯოხარ დუდაევის ჰქონდა.

შარშან ავგისტოში ცხინვალზე შტურმს ხელმძღვანელობდა ჩვენი სული იამადაევი და მისი ბატალიონი „გოსტოკი“. რუსულმა პრესამ ის „გმირად“ შერაცხა, მაგრამ სულ მალე კადიროვი იამადაევი თანამდებობიდან გაათავისუფლა, ხოლო ბატალიონი დაშალა. სულიმის ძმა – სახელმწიფო დუმის დეპუტატი და „რუსეთის გმირი“ რუსლან იამადაევი კი პირდაპირ მოსკოვის ცენტრში დახვრიტეს. იგივე ბედი ეწია ერთი წლით ადრე ჩვენეთში ფეესბეს ოპერაჯგუფ „მთიელის“ მეთაურს პოლკოვნიკ მოვლადი ბასისაროვს. დაფიქსირდა, რომ რამზან კადიროვი კონკურენტებს არ მოითმენს!

ანალოგიური სიტუაცია იქმნება მეზობელ დადესტანშიც. მაგალითად, შარშან, წლის ბოლოს, ორი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 59 შეიარაღებულ კონ-

ფლიქტს ფედერალურ არმიასა და ადგილობრივ სამართალდამცველებს შორის. ამ მხრივ დადესტანმა უკვე გაუსწრო ჩვენებსა და ინგუშებს ერთად აღებულთ.

ძალიან დიდი ცვლილებებია ჩრდილო კავკასიაში, რაც ძალიან აშფოთებს არამარტო რუსეთის ხელისუფლებას, არამედ დასავლეთის იმ წრეებს, რომლებიც თავის დროზე ომში ჩვენებს უჭერდნენ მხარს. საქმე ისაა, რომ, თუ 90-იან წლებში ჩრდილო კავკასიის ეროვნული მოძრაობაში ეროვნულ-დემოკრატიული ლოზუნგებით გამოდიოდნენ და დასავლეთზე იყვნენ ორიენტირებულნი, ამჟამად კავკასიის ახალი ლიდერები ფუნდამენტალისტური, ანტიდასავლური ლოზუნგებით გამოდიან. ეს ძალები ამჟამად ფსონს დებენ საერთაშორისო ისლამურ ორგანიზაციებსა და მათ ლოზუნგებზე. ამასთანავე, თუ 90-ანი წლები ჩრდილო კავკასიაში აღინიშნებოდა ეთნიკური სეპარატიზმით, ახლა თანდათან ძლიერდება ერთობა ისლამის, კონკრეტულად კი მისი განშტოების – ვაჰაბიზმის საფუძველზე.

თუ 90-იან წლებში რუსეთს ჩვენების წინააღმდეგ ერთ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა, ამჟამად გამოიკვეთა უკვე წინააღმდეგობის სამი რეგიონი – ჩვენეთი, ინგუშეთი და დადესტანი; დროდადრო კი ავეთქმები გაისმის ჩრდილო კავკასიის სხვა ავტონომიებშიც. ხოლო თუ უფროსი თაობის შემორჩენილი ბოევიკები ნაციონალისტები იყვნენ, ამჟამად ძირითადი მასა ახალგაზრდებია და ისინი, როგორც წესი, რელიგიური ექსტრემისტები არიან.

დღეს ჩრდილო კავკასიელი მეტროპოლების მთავარი მოწოდებაა მთელი მთიელი ხალხების გაერთიანება და თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. „ჯერ იმამათი შექმნათ, ხოლო მერე დავაზუსტებთ მისი საზღვრები!“ – ეს არის მასხადოვის შემცვლელის, აბდულ-ხალიმ საიდულაევის სიტყვები, რომელიც, ასევე, „პროფესიონალური ავადმყოფობით“ გარდაიცვალა, ანუ მოკლეს.

ისლამიზაციას სერიოზული სტიმული მისცა უკანასკნელი საერო ლიდერის – ასლან მასხადოვის მკვლელობამ. ბოლო პერიოდში ის უკვე ვეღარ აკონტროლებდა წინააღმდეგობის მოძრაობას და მხოლოდ სიმბოლურ ლიდერად რჩებოდა. მისი სიკვდილის შემდეგ კი მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ სასულიერო ლიდერები. მაგალითად, მასხადოვის შემდეგ „პრეზიდენტად“ გამოცხადდა საიდულაევი, რომელიც უფრო მორალური ავტორიტეტი იყო, ვიდრე პოლიტიკოსი. მისი მმართველობის მოკლე პერიოდში ის პირველად დაფიქსირდა როგორც „ემირი“, ხოლო „კავკასიის ემირატის“ შექმნის იდეა თანდათან პოპულარული გახდა.

საიდულაევის მკვლელობის შემდეგ „ინქერის პრეზიდენტი“ პოზიციას იკავებს დოკუ უმაროვი, რომელიც შამილ ბასაევთან იყო დაახლოებული, მაგრამ ამ მოძრაობაში მოიკლო ჩვენ ბოევიკთა რაოდენობამ, ხოლო გაიზარდა სხვა ორი მიზეზი უნდა ჰქონდეს – ჩვენები უკვე ორი ათეული წელია, რაც ბრძოლაში არიან; გარდა ამისა, ჩვენებში გავრცელებულია ისლამის ერთ-ერთი მიმართულება – სუფიზმი, მაშინ, როდესაც ემირატის მომხრეები ვაჰაბიტები არიან, ისლამის ეს ორი მიმართულება კი ურთიერთგამომრიცხავია.

„პოლიტიკური ისლამის“ იდეოლოგია ისინი რასულოვი იყო, მაგრამ ის მოკლეს. დოკუ უმაროვი საველე მეთაური გახლდათ და არა იდეოლოგი, მაგრამ მალე გაერკვა ახალ რეალობაში და 2007 წლის დეკემბერში „ინქერის პრეზიდენტის“ თანამდებობიდან გადადგა. მან თავი „კავკასიის მეტროპოლიტიკური და ჯიპადის ლიდერად“ გამოაცხადა. ემირატის შემადგენლობაში კი გამოცხადებულია:

დადესტანი, ჩვენეთი, ინგუშეთი, ჩრდილო ოსეთი-ალანია, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების ტერიტორიები.

დოკუ უმაროვი, რომელიც ჩვენეთის ომის დროს ჭრილობებს თბილისში მკურნალობდა, ახლა იწოდება როგორც „ემირ აბუ-უსმანი“. იგი ამჟამად უკვე ეროვნებებზე აღარ ლაპარაკობს და მთლიანად ჩრდილო კავკასიელ ხალხებს მიმართავს. მისი მოადგილე და წინააღმდეგობის მთავარსარდალია ეროვნებით ინგუში ახმედ ველოევი. მეტსახელად „მაგასი“. მაგრამ ჩრდილო კავკასიაში ყველაზე პოპულარული გმირი დღეს შეიხი საიდ ბურიატსკია, ცნობილი ჟურნალისტის იულია ლატინინას სიტყვებით, „კავკასიელი ჩე გევარა“! ის ეროვნებით ბურიატია, მაგრამ ისლამი აღიარა (ბურიატები ბუდისტები არიან). ეს უნდა იყოს ახალი ტიპის ინტერნაციონალისტი-მოჯაჰედის პროტოტიპი.

ასეთ დროს მოულოდნელი სენსაცია იყო ისრაელის „მოსადის“ მიერ ორდანიში მოპოვებული საიდუმლო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც „მუსლიმანი ძმების“ საიდუმლო და ძალიან გაუგებრიანმა ორგანიზაციამ 2007 წელს კრემლთან შეთანხმებას მიაღწია, რის მიხედვითაც მათ ჩრდილო კავკასიაში ყოველგვარი ოპერაციების დაფინანსება შეწყვიტეს, რის სანაცვლოდაც რუსეთს პალესტინისთვის უნდა დაეჭირა მხარი! მაგრამ მაშინ ვინ აწვდიდა მთიელებს ფულსა და იარაღს ტერაქტებისათვის? ამ შემთხვევაში ყველას, უპირველესად, თავისთავად ამ საქმის დილოსტატები, ანუ „აღ-ქაიდა“ გაახსენდება!

დაღვა დრო, ვიკითხოთ, თუ რას მოუტანს საქართველოს ფუნდამენტალისტური და თეოკრატიული „კავკასიის ემირატის“ შექმნა. ადიდეები, ჩერქეზები და ყაბარდოელები აფხაზეთის უახლოესი მონათესავე ხალხებია, ანუ ცხადია, რომ ემირატი კავკასიის აქეთ მონდომებს გადმოსვლას; თუნდაც გავისხენოთ, 90-იანი წლების დასაწყისში „მთიელთა კონფედერაცია“ თავის დედაქალაქად სოხუმს რომ მოიაზრებდა. ასევე, თუ ჩრდილო ოსეთი-ალანია ემირატი მოიაზრება, მაშინ, მათი მენტალიტეტი, რატომ არა – ე. წ. სამხრეთ ოსეთი? ასევე, გავისხენოთ, რომ ათიოდე წლის წინათ ჩვენები ალაპარაკდნენ პანკისის ხეობაში „სამხრეთ ჩვენეთის“ გამოცხადებაზე დედაქალაქით ახმეტაში („ახმეტას“ ისინი ჩვენურ სიტყვად მიიჩნევენ). ასეთ სიტუაციაში საქართველოს ნარჩენები ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ფუნდამენტალისტური, არატოლერანტული ემირატი იქნება შემოხვეული და საბოლოო ჯამში – დამხრჩვალა.

ეხმარება თუ არა ემირატის მეტროპოლებს ტერაქტებში საქართველოს ხელისუფლება? ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ გავისხენოთ ნოე ჟორდანიანს ზემოთ მოყვანილი სიტყვები. ხელისუფლებამ შეიძლება გვითხრას, რომ ემირატი – შორეული მომავლის საქმეა, ახლა კი დღევანდელი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტო. ეს კი იქნებოდა ყველაზე ახლომხედველური პოლიტიკა. გვინდა კი, ჩვენს მეზობლად ახალი ავღანეთი მივიღოთ? ამასთან, თუ დოკუმენტურად დაფიქსირდებოდა აღ-ქაიდასთან საქართველოს ხელისუფლების კავშირი, საქართველო ორმაგი დარტყმის ქვეშ აღმონდებოდა – ამერიკისა და რუსეთის ახალი პოლიტიკა ხომ ტერორიზმთან და, კონკრეტულად, აღ-ქაიდასთან ერთობლივი ბრძოლა!

გამოდის, ჩიხში რომ გვეგონა ჩვენი თავი, სინამდვილეში მთელი სიჩქარით უფსკრულისკენ მივუქანებით...  
რამაზ კლიმიაშვილი



# პარტიის ახალი კურსი და ევროპული საკითხის მოწინააღმდეგე პოლიტიკოსების დაინტერესებულობა

გთავაზობთ ნაწილს პროფესორ ბატონ გიორგი ციციშვილისა და ცნობილი იურისტის ბატონ ვახტანგ გვარამიას წიგნიდან "მეგრული საკითხი".

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში "საწვავ მასალად" გამოყენებული იქნა ე.წ. "მაფალელების" ვითომ "ნაციონალურ-კონტრევოლუციური" წარმომადგენლობის საქმიანობაც. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალები და ისტორიის უტყუარი წყაროები ნათელს ხდის (არა მარტო საერთოდ ანტიპარტიულ და ანტიბატონო მოვლენად წარსულში წარმოჩენილის აუცილებელ გათვალისწინებას, არამედ კონკრეტულ) ე.წ. "მაფალელების" ახალ ანტისაბჭოთა, ე.წ. "მემარჯვენე-ტროცკისტულ", "ანტისაბჭოთა-კონტრევოლუციურ" და "ტერორისტულ" გამოვლინებებთან დაკავშირებას. ასეთი მაგალითი, როგორც ნაწილობრივ უკვე ვნახეთ, მოგვცა ტარასი შენგელიას მიმართ ჩეკისტურმა დამოკიდებულებამ. მოცემულ თავში მიხნად დავიხსენებ 20-30-იან წლებში ზუგდიდის რეგიონის პოლიტიკურ და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ადამიანების მაგალითზე წარმოვჩინოთ როგორც ე.წ. "მაფალელების", უკვე მათ წინააღმდეგ მებრძოლთა და ნეიტრალური ადამიანების მიმე ხვედრი, რომლებიც საქართველოს რეალურმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ გასწორა. მათი ადამიანური ბედი იმთავითვე გაუკუღმართებულად გაშუქდა, ხოლო შთაბრძნავლობამ უსიტყვოდ გაიზიარა 1920-1930-იან წლებში სახელმწიფოებრივად შეგნებულად გაუკუღმართებული ვერსია.

ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კურსის პირობებში, ადრე "მეგრული საკითხის" მოწინააღმდეგეობის ბრძოლაში ჩაბმული ადამიანების პირადი ცხოვრება უადრესად დრამატულად წარმოართა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ 30-იანი წლების პოლიტიკურ და სამეურნეო პროცესების ქარიშხალმა თავისი დამანგრეველი ძალა განსაკუთრებული სისასტიკით სწორედ პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის სახით, ხედაპირზე ამოტყორცილებს დაატყვა. როგორც ვნახეთ, სამეგრელოს რეგიონი და მთ შორის ზუგდიდის რაიონი (1930 წლამდე ზუგდიდის მაზრა), განსაკუთრებით პოლიტიზირებული აღმოჩნდა. 1921-1924 წლების ერთობლივ მოძრაობის პერიოდში სამეგრელოს მოსახლეობის პოლიტიკური განწყობილება და ორიენტაცია ხელმძღვანელთა გამოავლინა 1924 წლის აჯანყებაში მისმა განსაკუთრებულმა აქტიურობამ. სხვადასხვა მონაცემებით, აჯანყების მოტივი იყო სამეგრელოში 500-800 ადამიანი დახვრტყეს. ცოცხლად გადაარჩენილთაგან ბევრმა განიცადა პატიმრობა და მუდმივი ძალმომრეობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ამ საერთოეროვნულ ბრძოლაში მონაწილე პატიმართა დაკითხვის ოქმებზე დართულ ანკეტებში გვხვდება "ნაციონალიზმ - მეგრული" და "ნაციონალიზმ - მეგრული (ქართველი)". ჩვენი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო ეროვნული იდეისათვის მებრძოლ მეგრულთა ერთ ნაწილს ეროვნულ პასუხისმგებლობასთან ერთად ჰქონდა მეგრელობის თავისებურები შეგნება. ამიტომ ისინი ქართული ეროვნული ინტერესებისათვის სამკდრო-ნაცოცხლო ბრძოლაში მონაწილეობისათვის და ჩეკისტური ძიებთა გათვალისწინებული ანკეტის შევსების დროსაც ხაზს უსვამდნენ მეგრელების თავისებურებასაც და ქართველობასაც. ჩვენი აზრით, ამის მთავარი მიზეზი იყო მათი ენობრივი თავისებურება და მის მიმართ მყარი ერთგულება. მაგრამ არ ჩანს, რომ მათი "მეგრელობა" ხელს უშლიდა საერთო-ეროვნული ინტერესების რეალიზებას. შემდეგ წლებშიც საქართველოს სხვა რეგიონებს შორის "ოპოზიციური" მოთხოვნების მასშტაბურობით სამეგრელო, კერძოდ ზუგდიდი, შესამჩნევად გამოირჩეოდა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიისა და ხელისუფლების მიერ "მეგრული საკითხის" პოლიტიკურმა მოგვარებამ. როგორც ვნახეთ, "მეგრულმა საკითხმა" 1922 წლიდან ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძინა. მისი

სამართლიანი მოგვარების ინტერესმა ამოქმედა არა მარტო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების აქტიური ნაწილი, არამედ, ზუგდიდისა და გალის რაიონების გლეხობის წარმომადგენლებიც. მაგრამ "მეგრული საკითხის" გაუკუღმართებულმა მოგვარებამ ძალზე დაძაბა ადამიანთა ურთიერთობები და შექმნა მათი მისწრაფება-მოქმედების ასევე გაუკუღმართებულად შეფასების შესაძლებლობა. ქვეყანაში გატარებული პოლიტიკური რეპრესიების ეტაპმა ეს ადამიანები ტოტალიტარული მართვის ზვარაკად აქცია, ამიტომაც ზოგს მართები უხეშად შეაღწეა, ხოლო ზოგი კი ფესვიანად ამოგლიჯა და ჯერ კიდევ ცხოვრების შუა გზაზე ისტორიის წყვილად შიშითანია.

ქვეყნის პოლიტიკური პროცესების ავტორიტარული, დიქტატორულ-ადმინისტრაციული მეთოდებით მართვამ ჩამოაყალიბა ადამიანებისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ჩეკისტური ფორმა და ლოგიკა. ამ დროს პიროვნების წარსული პოლიტიკური ცხოვრება საფუძვლად უნდა დასდებოდა მისი ადამიანური ბედის ჩეკისტურ შეფასებას და მისდამი შემდგომი დამოკიდებულების პარამეტრების განსაზღვრას. ადამიანური წარსული უნდა მორგებულად ახალს, როგორც მემკვიდრეობა. არაფერი და არავინ დავიწყებას არ ეძლეოდა. ადამიანური წარსული მასალად ხმარდებოდა ახალ პოლიტიკურ მშენებლობას.

1937 წელს ვითომ მაფალეული ავტონომისტების იდეური და მათი ანტიქართული ორგანიზაციული საქმიანობის სულისჩამდგმელი, მასწავლებელი ვითომ "მეგრული სეპარატიზმის" ლიდერი ი. ჟვანია, ახლა "ხალხის მტრად" გააზვიადეს (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). ეს ის დროა, როცა ტ. შენგელია ყაზბეგში მუშაობს მთავლიტის რწმუნებულად. ამას დაემატა ისიც, რომ ჩეკამ ყაზბეგში "გამოავლინა" კონტრევოლუციური ორგანიზაცია, რომელთანაც ვითომ მჭიდროდ დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდა ტ. შენგელია. მას ახლა "ადმინისტრაციის", რომელიც კავთელაძის დასკვნისაგან განსხვავებული სულ სხვა წარსული ჰქონია. ტ. შენგელიას ანტიქართული "მაფალეისტურ-სეპარატიზტი" წარსული შინაგანობის რწმუნებულის რაიონული განყოფილების რწმუნებულის კარახანოვის და განყოფილების უფროსის ხუბაევის მიერ 1937 წლის 17 დეკემბრის თარიღით შედგენილ დასკვნაში ასე იკითხება: "შენგელია ტარასი დამიტიის ძე, მოსამსახურე, მცხოვრები ყაზბეგში... მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ხალხის მტერ ისაკი ჟვანიასთან, მასთან ერთად შედიოდა მეგრულ რაიონულ ორგანიზაციაში "მაფალეისტებისა". ამ უკანასკნელის დაგვალბებით საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკვას, კერძოდ, ახს. ბერიათი უკმაყოფილომ, შეადგინა აშუაგარდ პროფკაციული ხასიათის განცხადება ხალხთა ბელადის, საკ. კპ (ბ) ხელმძღვანელის სახელზე, რომელშიც მოითხოვდნენ სამეგრელოს ავტონომიას, "მაფალეისტების" კერ ორგანიზაციაში "ავერობელებს" სკპ (ბ) ცალკეულ წევრებს, მჭიდრო კავშირი ჰქონდა მემარჯვენეთა (ყაზბეგის) კონტრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელ შ. ნამგალაძესთან, ა. ფიცხვერაშვილთან, შ. ანდგალაძესთან და მათი დაგვალბებით მემარჯვენეთა კონტრევოლუციური ორგანიზაციაში ჩააბა გახეთ "ახალი ხევის" ყოფილი რედაქტორი და ვითომ კომპანიე და უკანასკნელს აიძულებდა ბეჭდვითი სიტყვაში შეეჭო ხალხის მტრები. მთავლიტის რწმუნებულად მყოფი კრძალავდა ბეჭდვითი სიტყვიდან კონტრევოლუციური შინაარსის წიგნების და ხალხის მტერი ავტორების ამოღებას. მის-სამართლის კოდექსის სამი მუხლი, სასამართლომდე შეუთავსდეს პატიმრობა საქართველოს სახკომის ყაზბეგის რაიონული განყოფილების იზოლატორში".

აქედან ჩანს, რომ ტ. შენგელია არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგე, პროგრესულ მოქალაქეობრივ და ეროვნულ პოზიციაზე მდგარი პიროვნება ყოფილა. განყოფილების უფროსის ხუბაევის მიერ ტ. შენგელიას შესახებ შედგენილ ცნობაში იკითხე მორგება, ზოგი დეტალი კი ასე ფაქტობრივად: "პარტიის წევრი 1925 წლიდან, 1934 წლის მაისში ზუგდიდის რაიონის მიერ პარტიიდან გაირიცხა "მაფალეის-


ტების" მეგრულ-კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობისათვის, 1935 წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის პარტიული კოლეგიის მიერ აღდგენილ იქნა საკ. კპ (ბ) რიგებში... 1937 წლის დეკემბერში ფარული კონტრევოლუციური საქმიანობის გამო ყაზბეგის რაიონის მიერ გაირიცხა პარტიიდან და საქართველოს შინაგანობის საფუძველზე ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაპატიმრებას".

გასაგებია რომ ახლა ტ. შენგელიას ბიოგრაფიული წარსული ახალი პოლიტიკური კლიმატის მოთხოვნის შესაბამისად შუქდება. მაგრამ არ შეიძლება ამასთანავე არ დავინახოთ, რომ ისე გამოყავთ, თითქოს 1921 წლიდან სამეგრელოს ავტონომიისათვის მებრძოლი "ნოთელი" და "მაფალეისტი" ტ. შენგელია, კომპარტიაში მიუღიათ 1925 წელს, ე.ი. მაშინ, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა "მაფალეულ-ავტონომისტებს" საქართველოსაგან "სამეგრელოს მოწვევები" ბრალდებით თავს დაატყვა ვითომ დამსახურებული ბრალდება - "სეპარატიზმი" და ახლა ტ. შენგელია - პიროვნება, რომელიც 1921-დან 1933-მდე "მაფალეისტურ ანტიპარტიულ და ანტიქართულ მუშაობას ეწეოდა", მართლაც 1934 წლის მაისში კომპარტიიდან გაირიცხა, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის "პარტიულმა კომისიამ", რომელიც ბერიას მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობდა, 1935 წელს ისევ კომპარტიის რიგებში აღადგინა. არადა, როგორც ცნობილია, 1933-1936 წლებში, პარტიაში მიღება შეჩერებული, ხოლო აღდგენა უკიდურესად გართულებული იყო. მაგრამ ტ. შენგელიას პარტიაში აღდგენის პატივი მიიღო ხვდა. აქედან ისე გამოდის, რომ ან "მაფალე" არ ყოფილა, რადაც ასაღებენ, ან ტ. შენგელიას არ ჰქონია ის "მაფალეისტური გადახრა" რასაც აბრალდებენ. როგორც ადრე ვნახეთ, ტ. შენგელია 1925 წელს იყო სამეგრელოს ავტონომიის მომხრე. იგი ასეთი მოთხოვნის ხელისმძღვანელთა შორის ვიხილეთ. 1931 წელს იგი ზუგდიდის რაიონის აქტივის წევრია, მაგრამ ავტონომია სამეგრელოსთვის სასურველად ვნახება. შემდეგ, 1933 წელს მას ვხვდავთ, როგორც ი. სტალინთან ავტონომიური სულისკვეთებისა და ადმინისტრაციული ოქის მოთხოვნის წერილის გამგზავნელ ავტორს. მოსკოვამაც და თბილისმაც ავტონომისტური წერილის ავტორად სწორედ ის დაადგინა. მისი ამ წერილის გამო საქართველოს კომპარტიის IX ყრილობაზე დიდი ხმაური ატყდა. ეს წერილი შეფასეს "მაფალეისტობად" და ადგილობრივი, მეგრული ნაციონალიზმის გამოვლინებად. ამის გარდა მას რაიმე სხვა დანაშაული არ ჩაუდგინა. როგორ გავიგოთ ის, რომ პარტიიდან გაირიცხული, კონტრევოლუციური და ნაციონალისტურ-მაფალეისტური ორგანიზაციის წევრი 1935 წელს ისევ პარტიაში აღადგინეს? შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ტ. შენგელიამ მოახერხა ბრალეულობათაგან თავის დაღწევა, შეცდომაში შეიყვანა საქართველოს კომპარტიის ცკვას პარტიული კომისია, ყველა გააცურა. "მეგრული სეპარატიზტების" ლიდერ ი. ჟვანიასთან ალიანსი ისე დაამალა, რომ ვიდრე ი. ჟვანიას "ხალხის მტრობა" და ყაზბეგელი "მემარჯვენე" "კონტრევოლუციონერ-ტერორისტების" საქმიანობა და მასში პირადი მონაწილეობა გამოქვავდა ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ჩეკისტებს ხუბაევის და კარახანოვის ეშლებათ ტ. შენგელიას აღნიშნული ბიოგრაფიული ფაქტები.

არა, საქმე ასე როდია. როგორც დაკვირვებულმა მკითხველიც შენიშნავდა: ტ. შენგელია 20-30-იანი წლების პარტიულ-პოლიტიკური ცენარის ის პერსონაჟია, რომლის განადგურების და მოსპობის აუცილებლობა არ არსებობდა. 1921-1937 წლებში არ არსებობდა ე.წ. "მაფალეისტების" არავითარი არაქართულობა, ანტიპარტიულობა და სეპარატიზმი, როგორც რეალური საშიშროება. იყო მეგრული კომუნისტებისა და უპარტიოების მცირე რამდენიმე კაცისგან წარმოდგენილი ინტელიგენტური ჯგუფის ავტონომისტური მისწრაფება, რომელიც მკაფიოდ მხოლოდ 1925 წლის "ბატალიებში" გამოვლინდა და

ისიც პარტიის "ეროვნულმა", უფრო სწორედ, პარტიის ანტიეროვნულმა ანტიქართულმა, ავტონომიურმა მშენებლობამ და "მეგრული საკითხის" გამო სტალინის გამონათქვამმა ასახრდოვა, ხოლო მას შემდეგ, რაც "ავტონომიის" მოთხოვნა ბერიამ სტალინის მითითებების პასუხად გაუკუღმართებულად, სეპარატიზტულ მოძრაობად გააზვიადა და განადგურა, მეგრულ კომუნისტებს დოკუმენტების მიხედვით "ავტონომიის" მოთხოვნაზე დიდხანს კრინტიც არ დაუძრავთ. სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფისა და დამოუკიდებელ ნაციად მოწოდების მოთხოვნა კი, რომელსაც პროფორმის სახით აყენებდნენ ახალაია, ბუკონია და ბესელია, ისტორიას 1925 წელსვე სამუდამოდ ჩაბარდა. ზუგდიდის სამაზრო ცენტრის ხელმძღვანელები, მხოლოდ "მეგრული საკითხის" გამო საქართველოს კომპარტიის ცკვას 1925 წლის 3 სექტემბრის და შემდგომი დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად იბრძოდნენ. გარდა ამისა, მონაწილეობდნენ პარტიულ-თანამდებობრივ და საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებულ ბატალიებში. სამეგრელოს ავტონომიის მოპოვების სულისკვეთებით გამსჭვალულები კი, როგორც ჩანს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას პრობლემატებს უქმნიდნენ სტალინთან მუდმივი ჩივილით, ხოლო ახალ რაიონულ ხელმძღვანელობას ტანჯავდნენ ხელისუფლების მიერ დასმენად, პროფკაციულ მოქმედებად, კონტრევოლუციურად და ინტრიგად შეფასებული წერილებით. ამიტომ ბერიასთან დაახლოებული ხელმძღვანელობას ამ ოპოზიციის წინააღმდეგ უხდებოდა ათასგვარი ბრალეულობის შეთითხენა და მათი, როგორც დამნაშავეების ჩამოშორება. ჩეკა სწორედ ამ დაკვეთას ასრულებდა და ყოველ ახალ გართულს სიტუაციაში მათ მიაწვდებ ე.წ. "მაფალეისტობას" და ამით მათ "დანაშაულობებს" "წონას" უმატებდა, საკუთარს კი აფუჩქებდა. მაგალითად: 1937 წლის 21 დეკემბერს ტ. შენგელია კარახანოვმა დაკითხა. დაკითხვის ოქმი თავიდან ბოლომდე ესება მხოლოდ ძიებაში მყოფის "მაფალელობას", "ხალხის მტერ" ი. ჟვანიასთან დანაშაულებრივი ურთიერთობის ძებნასა და "მიგნებას". ამ დაკითხვის ოქმში ახალი ის არის, რომ ტ. შენგელია "ადირბებს": "1927 წლიდან მე ვეკუთვნოდი კონტრევოლუციურ მეგრულ ორგანიზაციას მაფალეისტებისას". ჩვენების მიხედვით, დაკითხულის ეს კონტრევოლუციონერობა და "მაფალეუს" ორგანიზაციის წევრობა გამოიხატებოდა იმაში, რომ "1927 წელს ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ზუგდიდის რაიონის მდივანი ისაკი ჟვანია. იგი პარტიულ კრებაზე აყენებდა საკითხს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ და ჩვენც, მეგრელები, პარტიის წევრები მხარს უჭერდით, და ამრიგად ორგანიზებულ იქნა კონტრევოლუციური ორგანიზაცია "მაფალეისტებისა".

ეს ჩვენება წარსულის თვალის გადავლებითაც არ დასტურდება. ჯერ ერთი, 1927 წელს ისაკი ჟვანია რაიონის მდივანი კი არა, სამაზრო კომიტეტის მდივანი და ეს უნდა ახსოვდეს. მეორე, არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ისაკი ჟვანიას მაფალეისტური ორგანიზაციის არსებობას და მის მიერ ავტონომიის მოთხოვნას. მესამე, აქ პირველად ვხვდებით შემთხვევას, როცა ისაკი ჟვანიას "დანაშაულობები" 1927 წლიდან უკვე "ავტონომიური რესპუბლიკის" მოთხოვნამდე იხრდება.



მეგრული საკითხი



# ფიცი მნას, ვერსოუ მაკვირებს

# მიშიკო ბენ სააკადენ

უწინარეს ყოვლისა, შეგახსენებთ, რომ ალექსანდრ ვერსოუ გამოცდილი ამერიკელი დიპლომატი და მოღვაწეა. 2001-2005 წლებში იგი აშშ ელჩად მუშაობდა რუსეთში. ამჟამად ამერიკის თავდაცვის მინისტრის თანაშემწეა.

აი, სწორედ ამ ალექსანდრ ვერსოუმ სულ ახლახან თხასავით გაყიდა მიხეილ სააკაშვილი, როცა საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შეეცადა, პირი მოეწინა ამერიკის მხარისთვის შარშანდელი აგვისტოს ომის დაწყების ხელშეწყობის გამო. „ჩვენ ვცდილობდით, გაგვეკეთებინა ყველაფერი, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, რათა იმთავითვე გაგვეფრთხილებინა საქართველო, არ გადაეწყვიტა ძველი პრობლემები ომის საშუალებით“.

იუდეის პროკურატორი პილატე ხელის დაბანით შეეცადა, აეცილებინა პასუხისმგებლობა. ამერიკელებმა თავის გასამართლებლად ხელი მიხეილ სააკაშვილს შეაწმინდეს.

რატომ? იმიტომ, რომ სურს, სუფთა გამოვიდეს წაგებული საომარი კამპანიიდან. ცალმხრივობისგან გათავისუფლებულ მსოფლიო პრესაში სულ უფრო აშკარად იკვეთება აზრი იმის თაობაზე, რომ შეერთებულმა შტატებმა ზედმეტად მაღალი ფასი დადო კავკასიის ამ პატარა გახლეჩილ ქვეყანაზე.

„ვაშინგტონში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, რომ საქართველოში დემოკრატიის დეფიციტია“, – ესეც ამ ფონის ერთი შტრიხია.

მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მითითებით ცხინვალის ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით დიდი მონაწილეობა შეასრულა, საბოლოო ჯამში თვითონაც თავს დაიხსნა და ამერიკასაც ძლიერ გაუტეხა სახელი: „ამერიკის შეერთებული შტატების ძველამოსილების მიმართ ნდობის სერიოზული კრიზისი შექმნა“ და „ამერიკის საგარეოპოლიტიკურ თანამეგობრობაში განხეთქილება გააღრმავა“.

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს დაკარგული იმიჯის აღდგენას, მაგრამ დაშვებული შეცდომის გამო, რასაც საქართველოს ტრაგედია მოჰყვა, თავზე ნაცარი არ დაუყრია და, რაც გააკეთა, სრის ის, რომ განტყვევების ვაცის ძებნა დაიწყო. იპოვა და ბრალდებათა თოკი ყელზე წაუჭირა. მარყუქის ერთ ბოლოს ამერიკა ექანება, მეორე რუსეთს უჭირავს. შედეგი, როგორც მინიმუმ, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის დასასრულია. თვითონაა დამნაშავე და მისი პატრონები. ჩვენ ვერაფერს ვუშვებთ: „თავს თავად უყავ, თავად, თავ თავად დაიზიანა“.

ეს უბედურება ხომ გვეკის, მაგრამ უფრო დიდი უბედურებაა, როცა დასკვნის გაკეთების არც უნარი აქვთ, არც – სურვილი და პალოს საკუთარი ინიციატივით წამოეცემებიან, ანუ თავსაც ხიფათში იგდებენ და, რაც მთავარია, ქვეყანასაც საშიშროების წინაშე აყენებენ.

მაშინ, როცა ცნობილი მეკლავები, მაგალითად, გერმანიის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს ანალიტიკოსი ალექსანდრ რაი, მიიხეილენ, რომ „დასავლეთმა საქართველო სწრაფად დაივიწყა. საქართველო და სააკაშვილი არც იმდენად მნიშვნელოვანი არიან, რომ მათ გამო ახალი „ცივი ომი“ დაიწყო“, ცხელი თავები სააკაშვილის ადმინისტრაციაში ომის რიტორიკას ვერ გადაეფიქრებენ და სულელური ბაქოებით ვის აშინებენ, თავდაც არ უწყვიან.

ამას აღასტურებს საერთაშორისო სკანდალი, რომელიც საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ვასილ სიხარულიძის ერთი განცხადების გამო აგორდა და რომლის ჩაფარცხვას ჩვენი სამხედრო უწყება ჟურნალისტზე გადაბრალდების პრიმიტიული მეთოდით ამაოდ ცდილობდა. საქმე ისაა, რომ ყოფილმა მინისტრმა სიხარულიძემ Associated Press-ის პენტაგონის კორესპონდენტს ლარა ჯეიკსს განუცხადა, რომ ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ქართული ჯარი რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ შეიძლება იყოს გამოყენებული.

ჯეიკსმაც პატიოსნად დაწერა ის, რაც „ზემოდან“ უთხრეს და 2009 წლის 21 აგვისტოს მასმედიაში გამოაქვეყნა კიდევ.

ახლა რამდენიც გინდა, იძახე (თანაც – „ხაზგასმით“), რომ „საქართველოს მთავრობა რუსი აგრესორებისგან ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაციის მხოლოდ მშვიდობიან პოლიტიკას ატარებს“, გაფრენილ ჩიტს ვეღარ დაიჭერ და დამატებით არგუმენტს შემატებ დასავლეთის პრესის ასეთ დასკვნას: „ვიდრე მიხეილ სააკაშვილი მისი ქვეყნის სათავეშია, კონფლიქტის გონივრულ გადაწყვეტას არ უნდა ველოდოთ“ (ვოლფგანგ შმიგი, „კავკასიური ლეგენდები“).

თავი დავენებთ სააკაშვილს, რომელსაც ბუშის ადმინისტრაცია ტელეფონით ხელმძღვანელობდა – გისმენთ, ბატონო პრეზიდენტო! – ფეხზე წამომხტარი გაეჭიმებოდა. სხვა შემთხვევაში მეთოდ ბრაილს ჩამოქონდა საერთო ინსტრუქციები და კერძო მითითებები. თავისი ცოდვები და გაჭირვებაც ეყოფა მიშას.

ალექსანდრ ვერსოუს განცხადებას მივხედოთ: ჩვენ ვაფრთხილებდით საქართველოს, არ დამდგარიყო ომის ბილიკზე თავისი ძველი-ძველი პრობლემების გადასაწყვეტად.

დაეუშვათ, ქართველები ისეთი მიაბიტები ვართ, რომ ვერწმუნოთ ამ კაცის ფიცი – ვაფრთხილებდითო: – იმ დღეებში თბილისში გავრცელდა ასეთი ხმა. მაგრამ ვინ გვიპასუხებს – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ჩამოსვლა, ომის დაწყების კვირადაც, რომელი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი – მიხეილ სააკაშვილის მიერ წაქეზებული ვანო მერაბიშვილის „ყოვლისშემძლე“ სპეცრაზმელების (რომლებიც მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის ცხვირ-პირის მტვრევაში იყვნენ დახელოვნებული – რედ.) აგრესიის შესაჩერებლად თუ მათ წასათამამებლად – მიდით, ბიჭებო, და ჩვენც აქა ვართო?

აშშ ადმინისტრაციის ასეთი მაღალი რანგის მოხელე პრეზიდენტის მოკითხვების გადასაცემად რომ არ დადის ქვეყნიდან ქვეყანაში, ამას რა მტკიცება სჭირდება! კონდიმ, ეგებ, მართლაც თავშეკავებისკენ მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ ასეთი „შეცარი და ყოველმხრივ გამოზომილი“ მითითების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი მაინც თავისაზე დადარდა და უკან არ გამოიხმო ცხინვალის მიმართულებით დაძრული შეიარაღებული ძალები? ხომ ნათელია, რომ სააკაშვილი არ და ვერ გაუჯიუტდებოდა ამერიკელებს და თავის პრინციპზე დარჩებოდა...

მაშასადამე, მას ის მითითება მისცეს, რომელიც მან განუხრებლად შეასრულა.

ამერიკელებმა კი უგანეს, რადგან შეერთებული შტატების ადმინისტრაცია კრიტიკულ სიტუაციაში სურვილისამებრ კი არ მოქმედებს, არამედ რჩევას პროფესიონალებს ეკითხება. ანალიტიკოსების აზრით კი, 2007 წლის აგვისტოს ომში ამერიკელთა სამხედრო ჩარევა ან ნატოს ძალების გამოყენება უეჭველად შესამე მსოფლიო ომში გადაიზრდებოდა.

ლოკალური კონფლიქტის ფარგლებში დატოვეს ამიტომაც ეს ომი ამერიკელებმა. გამწარებულმა სააკაშვილმა, თუ გახსოვთ, აღარ დაშალა და ტელევიზიით გამოსვლისას პირდაპირ განაცხადა – ყველამ მიგვატოვა. „ყველაში“ აშშ რომ იგულისხმავ, ცხადზე უცხადესია.

ეს წამოძახება ირბი დადასტურებაა გავრცელებული ეჭვის, რომ სწორედ აშშ-მ უბიძგა ბატონ მიხეილს – შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს სამხედრო კამპანიის ჩატარებისკენ ე.წ. სამხრეთ ოსეთში.

საუკუნეთა განმავლობაში ნაცად ბრძოლით დაზვერვასავით „ბრძნულად“ იყო ჩაფიქრებული ეს ოპერაცია, რუსეთის რეაქციის მოსასინჯად განხორციელებული. ასე ჩანს. ჩვენ კი გავიწყდით.

რაც აქამდე ვთქვი, შეიძლება მხოლოდ ვარაუდად ჩაითვალოს, ფაქტობრივ დადასტურება რომ არა. რომ არა, თუნდაც, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტების შესაბამისად სრული გადაიარაღება, დახმარება სამხედრო ინსტრუქტორებით, სხვადასხვა დონის სწავლებაში ერთობლივი მონაწილეობით და ასე შემდეგ.

სამხედრო ექსპერტების აზრით, დადგებოდა დრო და ამ გზით დაგროვებული ძალა ამოქმედდებოდა. ამოქმედდა კიდევ.

სამხედრო დახმარებას პუბლიცისტური მიზნებისთვის რომ არ განახორციელებენ, შესანიშნავად იცის ალექსანდრ ვერსოუმ, თუნდაც, იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მან ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების (სო-ციალისტური ბანაკის ქვეყნების სამხედრო ბლოკი) მიმართულებით მუშაობის პერიოდში შეიძინა. იცის, როგორ უნდა იმოქმედოს აშშ სამხედრო უწყებამ, წყლიდან მშრალი რომ ამოვიდეს – მარიონეტები იმიტომ გყავს, რომ როცა საკუთარი მიზნების დაფარვა დაგჭირდება, მათ გადააბრალო ყველაფერი: ჩვენ კი ვეცადეთ, მაგრამ...

მაგრამ რატომ ჰგონია ვერსოუს, რომ ყველა ისეთი მიაბიტია, ისეთი მალემრწმენი, რომ მის გაცვეთილ არგუმენტაციას ბრმად ენდობა და გულუბრყვილოდ დაიჯერებს?!

ვერსოუს განცხადების კომენტარებისას ანალიტიკოსები ყურადღებას მიაპყრობენ ორ ურთიერთგამომრიცხავ გარემოებას: თუ აშშ სამხედრო უწყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის გამონათქვამი მიმართული იყო ადმინისტრაციის შეცდომებით გამოწვეული შთაბეჭდილების გასანეიტრალებლად და რუსეთთან ურთიერთობის ახალ ტონალობაში ჩასაწერად, მაშინ რატომ განაცხადა იმავე ვერსოუმ ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზადაა, უახლოეს პერიოდში საქართველოს გაუწიოს დამატებით 16 მილიონი დოლარის რაოდენობის სამხედრო დახმარება?

ალექსანდრ ვერსოუსი გამკვირვება! თორემ ფიცის დაჯერებაზე ადვილი არაფერია.

არმაზ სანებლიძე  
P.S. ამერიკაზე „გართულება“ არა მაქვს. აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „იერუსალიმი წმიდა ქალაქია, მაგრამ ძალ-ციცანი იქაც არიანო“.

90-იანი წლების შუა პერიოდიდან საქართველო ჩრდილო კავკასიაში მოქმედი რუსეთის ტერორისტებისთვის ზურგის ბაზის ფუნქციას ასრულებდა. მათი იარაღით, ასაფეთქებელი ნივთიერებებითა და მედიკამენტებით მობარაგება, ძირითადად, საქართველოს გავლით ხდებოდა. აქ მდებარეობდა სასწავლო ბანაკები და დასასვენებელი ბაზები, აქ გადიოდნენ მკურნალობის კურსს დაჭრილები. ეს თანამშრომლობა იმდენად შორს მიდიოდა, რომ ქართველი სამხედრო მოსამსახურეები უშუალოდ მონაწილეობდნენ ბანდიტების გადაყვანაში. მაგალითად, 2001 წელს რუსულან გელაგვის აფხაზეთზე თავდასხმამდე მისი ბოვეიკები კოდორის ხეობაში საქართველოს შინაგანი ჯარის მანქანებით გადაიყვანეს. ბანდიდან დარჩენილების ევაკუირება აფხაზეთიდან ქართულმა სამხედრო ვერტმფრენებმა მოახდინეს. დაჭრილ გელაგვს ოპერაცია ქართველმა სამხედრო ექიმებმა გაუკეთეს. არის მონაცემები იმის შესახებაც, რომ ჩენეთის პირველი კამპანიისას ქართული ვერტმფრენები ამოხეულთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე დაფრინავდნენ.

პანკისის ხეობა ტერორისტების, ქართული და უცხოური სპეცსამსახურების ერთობლივი მცდელობით ნამდვილ ბანდიტურ ანკლავს დაემსგავსა თავისი დანგრეული ინფრასტრუქტურით. მაგრამ ეს იმდენად თვალნათელი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს ქართულ ხელისუფლებას სერიოზული ზეწოლის ქვეშ მოუხდა ხეობის ტერორისტებისაგან „გასუფთავება“ ან „გასუფთავების“ იმიტირება. რამდენიმე წლის განმავლობაში სიმშვიდე იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, საქართველოს ხელისუფლება კვლავ დაუბრუნდა ძველს და თავისი ქვეყნის ტერიტორია კვლავ ტერორისტების ბუდედ აქცია.

13 ოქტომბერს მოსკოვში ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის სხდომაზე უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა სააკაშვილის რეჟიმის საერთაშორისო ტერორიზმთან თანამშრომლობის უტყუარი ფაქტები წარმოადგინა. მისი განცხადებით, „ბოვეიკებთან აღმოჩენილი აუდიოანგარიშები ადასტურებს, რომ მათ „აღქაიდას“ ემისრებთან ერთად კავშირი ჰქონდათ საქართველოს სპეცსამსახურებთან, რომელთა მონაწილეობითაც მოხდა ტერორისტების მომზადება და ჩენეთში გადაზიდვა. გარდა ამისა, მათი მხრიდან მუდმივად ხდებოდა იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და ფინანსური სახსრების მიწოდების მცდელობა დაღესტნის მაღალი საშიშროების ობიექტებზე, უპირველესად, ნავთობ და გაზსადენებზე დივერსიის მოსაწყობად“.

ასე რომ, საქართველო თანამშრომლობს „აღქაიდასთან“, რომელსაც თითქოსდა ებრძვის ნატოცა და მთელი დასავლეთიც. ნუთუ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც არა მხოლოდ იკვებება ვაშინგტონისა და თელავის ხელიდან, არამედ მკაცრადაც კონტროლირდება ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურების მიერ, საიდუმლო კავშირებს აბამს მათ უმთავრეს მტერთან? ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ანუ ეს თანამშრომლობა სანქცირებულია სააკაშვილის პატრონების მიერ, რაც, თავის მხრივ, ქვას ქვაზე არ ტოვებს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მთელი „ანტიტერორისტული მითოლოგიისაგან“, ვინაიდან დამაჯერებლად მიანიშნებს, რომ „აღქაიდა“ და დასავლეთი მტრები კი არა, დელიკატურად რომ ითქვას, პარტნიორები არიან.


სხვათა შორის, ჩრდილო კავკასიაში ტერორისტების გააქტიურება, პრაქტიკულად, ყველა ანტიხელმწიფოებრივი რადიკალური თოზიციური ძალის, რელიგიური ექსტრემისტების, სეპარატისტებისა და ანტირუსული მედიის გააქტიურებასთან სინქრონულად ხდება. ამ საოცარ დამთხვევას კი ძალიან მარტივი ახსნა აქვს – ამ ბატონების მომსახურების საფასური ერთი ჯიბიდან მიდის.

რაც შეეხება საქართველოს, სააკაშვილის რეჟიმმა ყველა დანაშაულს საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობაც დაუმატა, ეს კი მთავალში მის მიერ ქვეყნის მართვის საკითხს აყენებს, ქვეყნისა, რომელიც მისი ძალისხმევით შედეგად გარშემოყვითავის საფრთხის წყაროდ იქცა.

სერგეი სპირიდონოვი



# სამეგრელო და სვანეთი



კორნელი ბოროზდინი  
სამეგრელო  
და  
სვანეთი  
1854-1861

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცლარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შეიღების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

ერთხელ არჩილ ბატონიშვილს ვეწვიე და სადილად დავრჩი. აივანზე დავსხედით. იქიდან ყველაფერს ვხედავდით, რაც მის ვრცელს ეზოში ხდებოდა. სუფრაზე სულ სამი ვისხედით: არჩილი, მე და თარჯიშანი; მაგრამ სამხარეულოდან სხვა-და-სხვა ჭურჭლებით ოც კაცს მოჰქონდა სადილი. ამ გარემოებამ ძალაუვნებურად მიიქცია ჩემი ყურადღება და არჩილს ვკითხე, ამდენ ხალხს რად ინახავ სამხარეულოში-მეთქი?

მასპინძელმა გაიღიმა. — თქვენა გგონიათ, რომ ეს ჩემი ქეიფია? ქეიფი კი არა, იძულებული ვარ. ჩემს ყმა-გლეხებში ოცი კომლი ისეთი ურევია, რომელთაც ჩემი სამხარეული აბარიათ. მათი პაპა ჩემის პაპის მხარეული იყო. მისი მოდგმა გამრავლდა, ოც კომლად იქცა, და მათგანი მხარეულობის გარდა არაფერს იკისრებს. ჩვეულების ძალით, სხვა ვერაფერს გააკეთებინებ; თუ ვუთხარი, გააკეთებ-მეთქი, იტყვიან, ძალას ვგატანს, გეტანჯავსო. აი, ამიტომ, ერთის მხარეულის მაგიერ სამხარეულოში სულმუდამ ოცი კაცი ტრიალებს. და მეც იძულებული ვარ ყველას ვაჭამო და ჩავაცვა: მოდით და იანგარიშეთ, რამდენი დამიჯდება მათი შენახვა? ფულად რომ ჩავაგდოთ ეს ხარჯი, მგონი, თვით ხელმწიფის მხარეულს გადამოვიბრებდი იმ ჯამაგირით. არც ის შემოიღია, რომ აქედან გავერეკო; აშკარაა — ქეიფი კი არა, იძულებული ვარ შევინახო. ახლა მეჯინიბეები იკითხეთ! სამჯერ მეტი მეჯინიბე მყავს, ვიდრე ცხენები, და ყველას ვახმევე, ვაჭმევე, ყველას ტანთ უნდა ჩავაცვა.

ამ დროს საჭმელი შემოგვიტანეს და ლაპარაკი შევწყვიტეთ. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, არჩილი ისევ დაუბრუნდა დაწყებულ ლაპარაკის საგანს.

— აი, თქვენ, რუსები, სულ იმას გვიკითხებთ, ცხოვრება არ იცით, ოჯახი კარგად არ მიგვაყოთ. მე თქვენა გკითხავთ, ჩვენს მდგომარეობაში ოჯახი კარგად როგორ უნდა წაიყვანო კაცმა? — აბა დაფიქრდით. ვთქვათ, ოთხასი კომლი ყმა მყავს. ყველას ჩვეულებით დაკანონებული სამსახური მართებთ. სხვა საქმეს, რომ მოკლათ, ხელს არ ახლებს, და თავის მოვალეობას ისე არ ასრულებს, თუ თავზე სულმუდამ მოუარაო არ ადგას და არ უყვირის. ზოგთ ყანაში მუშაობა მართებთ, მაგრამ გარწმუნებთ, მათი სამსახური ხელს სრულებით არ მაძლევს: მუშაობის დროს იმდენი პური და ღვინო იხარჯება, რომ ჭირნახული ზარალის მეტს არაფერს იძლევა. ზოგთ ჩემი სამსახური მართებთ, მაგრამ მირჩევენია სულ არა ემართოსთ. რა. მე თვითონ არ ვიცი, თავი როგორ დავაღწიო, — თორემ მაგალითი ჩემი საჯინიბო და სამხარეულოა. ჩემს სასახლეში ქალებიანად 80 სულაია. მერე, ნეტავ რაღამე მჭირდებოდას! მომეცით

ერთი მხარეული და ორი-სამი ფარეში, — სრულიად მეყოფოდა. ეს წესი უცვლელად იმიტომ რჩება, რომ პური, ღვინო და ყოველი სურსათი იმდენი მომდის, რომ მე და ჩემი მსახურნი ყველაფერს ვეღარ ვერ ვით. კარგი რომ, ჯერ გეყოფნის ყველას, მაგრამ ერთხელაც არის, ხომ დადგება ისეთი დრო, როცა მჭამელი საჭმელზე მეტი იქნება, მაშინ რაღა ვქნათ? როგორც ვხედავ, თქვენში სულ სხვანაირად არის საქმე დაყენებული და ამიტომ გვიკითხებთ — ცუდი მეოჯახენი ხართო... აბა, ჩვენს დღეში ჩავაყენოსთ კაცმა, მაშინ ვნახავთ, რასაც იხამდით! აი, ჩვენი მთავარი დავითიც სულ იმას გვეუბნებოდა, რასაც თქვენა ბრძანებთ, მთელი თავისი სიცოცხლე სულ იმის ცდაში იყო, თავისებურად დაეყენებინა ოჯახი, და მერე რა მოჰყვა მის მეცადინეობას? — რა და, ყველა გადაიკიდა, ხალხი აჯანყდა. მაშა მისს ლევენს სულ სხვა რიგად მიჰყავდა საქმე: რასაც აძლევდნენ, ართმევდა, რაც ჰქონდა, იმის კმაყოფილი იყო და, ღვთის მადლით, ყველანი მაძღარნი იყვნენ. მე სადა მაქვს იმის ჭკუა, რომ ისე მოვაწყო საქმე, ყველაფერი კარგად იყოს; მაგრამ ვფიქრობ კი, რომ ძალით ვერაფერი გაკეთდება. აი, ახლა თქვენ, რუსები, მოხვედით, გვასწავლეთ ჭკუა, გვითხარით, როგორ მოვიქცეთ, და ჩვენც ყველაფერში მოგვევებით.

ამ პატივცემულ და საყვარელ მოხუცის სიტყვებში ბევრი სიმართლე ვრია.

4  
აქ ჩამოთვლილ ბატონიშვილებს გარდა, სენაკისავე ოლქში, სალხინოდან 15 ვერსის მანძილზე, სოფელ ნოღაში სცხოვრობდა ერთი ბატონიშვილიცა. ამ გვარში ყველაზე საინტერესო ეს იყო. მე მოგახსენებთ თავადს პეტრე ნიკოლოზის ძე დადიანს, “დიდი ნიკოს” შვილს. მაღალი იყო, მსუქანი, სახის მსხვილ ნაკეთობანი; გრძელი, შავი უღრავი შუბი ჰქონდა. ტანისამოსი, ქცევა-სიარული, ყოველი მიმხვერა და სიტყვა-პასუხი პეტრესი ერთმანეთთან იყო შესამებული, და ეს კაცი არამც თუ წარმოსადგეი, ლამაზიც იყო. გარემო სულ მუდამ ეხვივნენ დართულ-დაკაზმული თავად-ზნაურები. ერთს მიმინო ეჭირა ხელში, მეორეს ბატონიშვილის საყვარელი მწვერები — “მერცხალა” და “ფრიალა” დაჰყავდა. დიდკაცურ ქცევასა და თავის დაჭერაში ვერაფერს შეედრებოდა. ცოტათი ცხვირში იცოდა ლაპარაკი, აურქარებლად, სასიამოვნო მოზოხო ხმით, სვენებს-სვენებით, მწინობრულად და დიდკაცურად. ქართულის მწვერლობისა და საღმრთო წერილის ზედმიწევნით მცოდნედ ითვლებოდა. ამასთან, მეტი-მეტი ღვთის მოშიში იყო და არ შეიძლებოდა მარხვა გაეტეხნა როდისმე. საკმარისი იყო, ერთხელ გენახათ მისი გაწმინდავებული სახე, რომ თქვენი გული მოეკო.

ხელმწიფე რომ ტახტზე ავიდა, ეკატერინე დედოფალს პეტერბურგში წაჰყვა: ნახა იმპერატორი, პეტერბურგი, მოსკოვი და ამის შემდეგ უფრო გადიდკაცდა, ღირსება და ფასი მოემატა ქვეშემდროთა თვალში, ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე, როგორ იმოგზაურა რუსეთში, როგორ გაიცი-ნო მინისტრები და სხვა. ყურისმგდებელი სულმუდამ აუარებელი ჰყავდა. ნ.პ. კოლუბიაკინიც მოჰხიბლა მისმა მშვენიერმა გარეგნობამ და წინადადება მისცა თავადუბის წარმომადგენელი ყოფილიყო საბჭოში. და პეტრემაც სიამოვნებით იკისრა ეს თანამდებობა.

კოლუბიაკინს იმედი ჰქონდა, კარგს რჩევას მომცემსო, და პირველ ხანებში ხშირად მოიწვევდა ხოლმე სხვა-და-სხვა საქმეთა გამო. პეტრემ რუსული არ იცოდა და თარჯიმნად ნაკაშიძე იყო ხოლმე, რომელიც თავბედს იწყევლიდა, როცა იძულებული გახდებოდა პეტრეს ნათქვამი გენერლისთვის გადაეთარგმნა.

ხანდახან მეტად სასაცილო კომედია გაიმართებოდა ხოლმე.

მაგალითად, ერთხელ კოლუბიაკინმა მიანდო ნაკაშიძეს, რომ პეტრესათვის ეკითხნა: თქვენის აზრით, რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ სამეგრელოში გავრცელებული ქურდობა ცხენებისა მოგსოთ და, როგორა გგონიათ, კარგი არ იქნება, ამ შემთხვევაში თავადებიც მოვიშველიოთ?

პეტრემ მოისმინა ეს კითხვა და მეტად დაფიქრდა, მარცხენა ხელით ხელი დაუჭირა ნაკაშიძეს და მარჯვენათი თითები მოუქცა, ამით ის უნდოდა ეთქვა, რომ რამდენი თითია, იმდენ ნაწილად უნდა დავეო ჩემი ნათქვამი. ჯერ თვითონ ნაკაშიძეს მიუბრუნდა და უთხრა: თუ ღმერთი გწამთ, რაც გითხრათ, ყოველი სიტყვა უკლებლივ გადაუთარგმნეთ კოლუბიაკინსათ; მერე კი დაიწყო:

“**მოახსენე გენერალს, დემეტრე დიდხანს აცოცხლოს, აგრეთვე უცოცხლოს ცოლი. იმის ჭირი შემეყაროს. ყოველი სიტყვა მისი — ჩემთვის მარგალიტია და როგორ შემოიძლია არ დავეთანხმო რაშიმე? როგორც მზე ყოველთვის აღმოსავლეთიდან ამოდის, მეც ისე ნიდავ მხოლოდ ჭეშმარიტებას მოვასხენებ. ქურდობის შესახებ ჩემი აზრი ის განხლავთ, რომ უგეტყვალად უნდა მოისრას. ხომ კარგად გაიგო, რაც გითხარი? — ჰკითხა პეტრემ ნაკაშიძეს. — ახლა, თუ ღმერთი გწამს, ყველაფერი მოახსენე.**”

ამ დროს პეტრემ ნაკაშიძეს სალოკო თითი მოუქცა და ამით აღნიშნა პირველი ნაწილი თავისის ნათქვამისა, თან გენერლის სახეს დააკვირდა, აბა როგორ მოეწონება ჩემი ნათქვამი.

პეტრეს ლაპარაკი — საშინლად კი ატანებოდა, — რამდენსამე წუთს გაგრძელდა. სანამ ის ლაპარაკობდა, კოლუბიაკინი კაბინეტში ბოლთასა სცემდა და ხანდახან გამომეტყვევებს სახეს შეხედავდა ორატორისას, რომელიც ცხარედ ლაპარაკობდა და თანაც ხელებსა და სახეს იშველებდა ნათქვამის უფრო კარგად გამოსახატავად. კოლუბიაკინს საშინლად უნდოდა მალე გავეო პეტრეს ნათქვამის შინაარსი. და აბა, ბოლოს, ნაკაშიძის თითი მოჰქცა პეტრემ და გაწუშდა. კოლუბიაკინი ნაკაშიძისთან მივიდა, მთლად სმენად ქცეული.

— თქვენო აღმატებულება, მოგახსენათ, რომ ქურდობა უნდა მოისპოსო.

— კარგი! მეტი რა სთქვა?

— მეტი არაფერი უთქვამს.

გენერალმა თოფის წამალით იფეთქა: — ნაობახტში ჩავსვამთ ასეთი თარჯიმნობისათვის, ნახევარი საათია, კაცი ლაპარაკობს და თქვენ ორის სიტყვითა პბედავთ მისი ნათქვამის გადმოცემას?

— გარწმუნებთ, თქვენო აღმატ... — ხმა, კრინტი... ყოველი სიტყვა უნდა გადაითარგმნოთ.

პეტრე გაოცდა, ასე უცბად რამ გააცხარა გენერალით. ეგონა, ალბათ მე მიწერებოდა და ნაკაშიძეს ხელი მოჰკიდა და ჰკითხა:

— ვაი, შენი ჭირიმე... მითხარი, რადა სცხარობს? — და ხელზე მეორე თითი მოუქაქვა.

— კარგი, ახლა რადა გითხრა?! ინებეთ და სიტყვა-სიტყვით გადაითარგმნეთ. — უთხრა თავის მხრივაც გენერალმა.

— მეუბნება: შენი ჭირი შემეყაროს,

მითხარი, გენერალი რადა ბრახობსო?

— რეებს მიჰქარავთ, რა ავადმყოფობა... (“**შენი ჭირიმე**” რუსულად ასე სთარგმნიან ხოლმე: “**შენი ავადმყოფობა ყველა მე შემეყარაო**”). მე თქვენ, ახლავე...

— იმასა ჰქონია, თქვენო აღმატებულება, რომ თქვენ უჯავრდებით, და ჰკითხულობს, მიხეხი რა არისო?

— რა ავადმყოფობას ამბობს?.. პეტრე ნაკაშიძეს თავისკენ ეწევა.

— შეგხვეწე, ნუ ჯავრობს...

ნაკაშიძემ, აწეწილმა, თავტან-დაკარგულმა, ცოტას გასწედა არ იტირა. მის ბუდად, მათს გარდა კაბინეტში ვიდაც გარეშე კაციც დაესწრო, რომელმაც რუსული და ქართული ორივე კარგად იცოდა და გენერალს აუხსნა, ნაკაშიძე აქ შუაში არ არის, საქმე ის განხლავთ, რომ თვითონ პეტრე ისეთის დიდთქვიაობით ლაპარაკობს, რომ მისი გადათარგმნა ყოველად შეუძლებელიაო. დიდკაცებთან ასეთის ენით ლაპარაკობენ აქ და პეტრესაც ჰგონია, თუ არ ასეთის ენით, სხვა ენით გენერალთან ლაპარაკი არ შეიძლებოდა. რაც რამ მძიმე სიტყვები იხმარა პეტრემ ამ ლაპარაკში, იმის გადათარგმნა, სამწუხაროდ, ყოველად შეუძლებელიაო.

პეტრეს ძალიან კარგად ესმოდა, რასაც სთხოვენ, მაგრამ მოთავეობა არ უნდოდა ამ საქმეში, კომედიას თამაშობდა და ასეთი დიდთქვიაობით გადიოდა ფონს. მერე რამდენჯერმე სცადა კოლუბიაკინმა მისთვის რჩევა-დარიგება ეთხოვნა და ამითი ესარგებლნა, მაგრამ ცდამ ყოველთვის ფუჭად ჩაუარა. ქურდობის მოსობის შესახებ ვერც ისე ადვილად მიცემდა რჩევას პეტრე კოლუბიაკინს, ამიტომ, როგორც მერე არმოჩნდა, მის ხელქვეით თავადებში მიუღიო რაშია ყოფილა ქურდებისა, და პეტრე არამც თუ არა სდევნიდა ამ ქურდებსა, არამედ მფარველობასაც უწევდა და თავი მოჰქონდა მათი ოსტატობით.

აი ეს სხვა-და-სხვა სახის მიმართულების ბატონიშვილები სცხოვრობდნენ აქ. ამათის შემწეობით მკითხველს შეუძლია შეადგინოს აზრი სენაკის ოლქის მაშინდელ არისტოკრატის სახისთვის შესახებ.

ყველა ეს ხალხი ერთგვარად, პირველყოფილურად სცხოვრობდა, მათი სურვილი-ნატვრა მათის მამულის სახდერებს არ განცილებოდა ხოლმე. ყმებს ყველაფერი მზა-მხარეული მოჰქონდათ. ხოლო მეპატონენი იმის ძიებას არ გამოუდგებოდნენ, თუ რა გზით იყო შეძენილი ის, რასაც ყმები უზიდავდნენ. მოტანილის ერთ ნაწილს ხარჯავდნენ და მეორეს — იხოვავდნენ. ყმებს მანამდე ეპრობოდნენ კარგად, სანამ ესენი თავთავის დროზე უზიდავდნენ ყოველსავე; თუ თავისს მოვალეობას კარგად არ ასრულებდნენ, მაშინ მეპატონენი თავის მოურავებს მიუსევდნენ დასაწიოკებლად. ეს იყო და ეს მათი მეოჯახეობა! წირვალ-ლოცვას არ აკლებდნენ, მარხვას ინახავდნენ, დღესასწაულებში დიდი სტუმრობა იცოდნენ, სტუმრებისათვის არაფერსა ჰხოვავდნენ. მათთან ერთად სვამდნენ უზომოდ, სჭამდნენ, მღეროდნენ და თამაშობდნენ. ქორწილსა და ტირილს დიდის ამბით იხდინდნენ. თავისუფალ დროს საღმრთო წერილს, შოთა რუსთაველის “**ვეფხისტყაოსანს**”, ჩახრუხადისა და სხვა ძველ მოღვესეთა ლექსებს, აგრეთვე არისტოტელის და პლატონის თარგმანებსა კითხულობდნენ. ქალებმა უფრო იცოდნენ წერა-კითხვა, მათს შორის მშვენიერი ხელობაც იყო გავრცელებული, ოქრომკედლი კერვა, აბრეშუმის ქსოვილების კეთება მათი განთქმული იყო. მათი ქმრები ძმები თავისუფლების დროსავე სანადიროდ დადიოდნენ, ჯირითსა და მარულასა ჰმართავდნენ. ერთის სიტყვით, ამ დიდკაცობის ცხოვრების ფაილა აღსახე იყო ყოველთა სორციელ სიამოვნებითა: მათგან დადგენილ და თავისებურ წესებს ზნეობისას არავინ გადადიოდა, — რაც ბატონიშვილისთვის სასირცხვილო იყო, ყველა ბატონიშვილი ერთდებოდა იმ აზრით, რომ ჩვენის ქცევით ჩვენზე უმცროსს არ დავემსგავსოთო.



# მე-20 საუკუნის საქართველოს ტრაგედია

მალაქცივილიზებულ ქართველ ერს თავისი 3.000 წლოვანი ისტორიის მანძილზე, ჰქონდა როგორც აღზევების, ასევე დაცემის პერიოდები, ქართველი ერის რევრესი გამოწვეული იყო შინააშლილობით და იმ ვერაგ დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევებით, რომელთაც ამოძრავებდათ დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალეს, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას სამშობლოს – საქართველოს სრული ლიკვიდაციის დიდი სურვილი, მაგრამ ფორტუნა საქართველოს მხარეზე იყო.

ეროვნულ-პატრიოტული იდეებით გამსჭვალული ქართველი ერი ვერ დაახლოვდა ვერცერთმა იმპერიამ, რადგან თავისუფლების მოყვარე ერები ვერ ეპყებიან დამპყრობლურ პოლიტიკას.

საქართველოს – პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ პატარა ნატერის თვალს“, ვინ არ შემოსევია და ვის არ აუოხრებია. მაგრამ ქართველი ერი, გათავისებული ჰქონდა რა თავისუფლების ცნება, მედგრად იგერიებდა ვერაგ დამპყრობლებს.

ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მცნება შორეული ეპოქების პირშია. ანტიკური ეპოქის უდიდესი მოაზროვნე პლატონი მომხრე იყო ეროვნული თავისუფლების და დამოუკიდებლობისა, რომლის მიღწევა შესაძლებელია, ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ, როდესაც ესა თუ ის ერი გაითავისებს „თავისუფლებას, როგორც შეცნობილ აუცილებლობას“.

ქართველ ერში სისხლხორცეულად იყო გამჭვდარი სუვერენული და თვითმოყვადი ქართული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა, ვინაიდან თუკი კვლავ ჰეგელს დაეხსებებოდა, „მსოფლიო ისტორია სურვერულ სახელმწიფოთა ისტორიაა“.

დიდი გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა: „ადამიანი მაშინ არის ადამიანი, როდესაც იგი თავისუფალია“-ო. სწორედ თავისუფლებისადმი ღრმად განაპირობა ის, რომ ქართველმა ერმა გაუძლო მონღოლ-თათართა, სპარსთა, ოსმალთა, არაბთა და სხვა სახელმწიფოთა შემოსევებს.

„ქებას დაღადში“ დიდი ილია 1899 წელს წერდა: „ჩვენისთანა დაბრძოლებული, დაბაღ ღობედი მიჩნული ერი, ჩვენისთანა სახელგაბეჭილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე ვინც ცნებაზე ან ზედ გაგებობებს, ან გვექვდავს და მიწასთან გავსწორებს. ღამის კავკასიის ქედს იქით აღვგავონ და ჩაღსაგით ქარს გაგატანონ, თითქოს არც ოდესღაც ყოფილხართ, არც დღეს ვართ...“

ილია ჭავჭავაძემ, საქართველოს ბუღბუღად წოდებულ აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, ახალი სული შთაბერა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

სამართლიანად შენიშნავდა ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, მეცნიერი და პოლიტიკოსი მიხაკო წერეთელი, როდესაც აფასებდა დიდი ილიას ყოველმხრივ მოღვაწეობას, მის ღვაწლს და დამსახურებას ქართველი ერის წინაშე – “ილია ყოველმხრივი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა ყველა თავის თანამედროვეებზე და თანამოღვაწეებზე, – თავისი მრავალფეროვანი ნიჭით და ყოველმხრივი შემოქმედებით“-ო.

ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, გიორგი წერეთელთან, სერგეი მესხთან, ნიკო ნიკოლაძესა და სხვა მამულიშვილებთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში. დიდმა ილიამ თანამებრძოლებთან ერთად, არსებითად მნიშვნელოვანი ეპოქა შექნა, რითაც თავისი დვითური შემოქმედებით ასახა ისეთი ისტორია, რომელიც „საერთო ნიადაგის“ ილიასეული თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე, ითვალისწინებდა ერის ყოველმხრივ განვითარებასა და მისწრაფებას ეროვნული იდეოლოგიისა და ერის ეროვნული ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად.

მაგრამ ილიას, რომელიც ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეოლოგი იყო, წინ აღუდგენენ ქართველი მარქსისტები. როგორც მ. წერეთელი წერს, ქართველ მარქსისტებში იყვნენ როგორც ჭკვიანი, გონიერი პიროვნებები, ასევე ყოვლად ბოროტი და რვეკენი ელემენტები, რომლებსათვის „გადამაგებება კლასთა ბრძოლისა“ უდიდესი რევოლუციური მიღწევა იყო. „ყველაზე უკეთური მათგან იყო ფილიპე მახარაძე და როდესაც მან დაინახა, რომ ნაციონალისტები იდურად ვერ იქმნენ დამარცხებული, არ დაკმაყოფილდა იმით, რომ „ხალხის“ დარაზმული ძალა მათი მეტი იყო, ვიდრე ნაციონალისტთა და ამ მხრით მათ საფრთხე არ მოელოდა, არამედ იდეური სიკვდილი განიზრახა ნაციონალიზმისა და მისი უდიდესი მეთაური ამოიღო მიზანში“.

მ. წერეთელი აღნიშნავს, „რომ ფ. მახარაძემ, იდეური ბრძოლით რომ ვერაფერი დააკლო ილიას, მის

თანამზრახველებთან ერთად, წერეს იმდენი სიბინძურე, რომელიც უდიდეს სირცხვილად არის მოსაგონებელი იმ უბედური ეპოქიდან ჩვენი ცხოვრებისა და როდესაც ვერც ამან გასჭრა და განმანადგურებელი პასუხი მიიღეს ილიასგან და შერცხვენა მათი, მაშინ სატანამ საჭურველი ააღებინა მათ ხელში და მოაკვლევინა დიდი ქართველი“.

1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან გაგარდა თოფი. მოკლეს ერის სინდისი, დიდი მწერალი და ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. ეს იყო მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის უდიდესი ტრაგედია, მაგრამ სატანამ ქართველ ერში ვერ ჩაკლა ეროვნული სული და ცნობიერება. ერი მიიღროვდა დიდი ილიას მიერ გაკვალული გზით, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ჩვენი ერის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში განვითარებული მოვლენები და პროცესები.

მეფის რუსეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, დიდი გამოძახილი ჰპოვა საქართველოშიც. ოქტომბრის გადატრიალების ქაოსით და ანარქიით ისარგებლეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) და საქართველო დამოუკიდებლად გამოაცხადეს. ჩატარდა ეროვნული საბჭოს პირველი სესიონი, 1918 წლის 26 მაისს, კვირას, თბილისის სასახლეში. კრებას თავმჯდომარეობდა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას. მიღებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა დროებითი მთავრობის შემაღენლობა, რომელიც შედგენილი იყო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ფრაქციების წარმომადგენლებთან შეთანხმებით:

1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი – ნოე რამიშვილი;
2. საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი;
3. სამხედრო მინისტრი – გრიგოლ გიორგაძე;
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – გიორგი ჟურული;
5. განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი;
6. მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნოე ხომერიკი;
7. იუსტიციის მინისტრი – შალვა მესხიშვილი;
8. გზათა მინისტრი – ივანე ლორთქიფანიძე.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველი ბოლშევიკები საქართველოში შემოვიდნენ. 1937 წლის მოსალოდნელი ტრაგედია გამოხატა პოეტმა კოლაუ ნადირაძემ თავის სტრიქონებში:

„იმ გზით სად წინად ელაგდნენ ხმლები, სად სამას გმირთა დაიფშენენ ძელები, სად ქართლის დედის ცრემლით ნანაში, მძიმედ დაეშვა ჩვენი ალაში, სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი, თოვლს დაეფარა კრწანისის ველი – წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით, შემოჯირითდა სიკვდილი ცელით!“

მამაცმა პოეტმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ – პოეტმა კოტე მაყაშვილმა დაიტრია სამშობლოსათვის თავმწირული ქალიშვილი და საქართველო შემზარავი გოდებით:

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი! გულზე სევდა შემომავა, თავის მძიმე ლოდებით... საქართველო გაიფინთა მაყაშვილთა გოდებით... დავიდალე... დავიზარე... და შენი ვარ მხობელი, ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი! სამშობლო თუ შენ – რომელი, არ ვიტყვით რომელი? დავდანი ცრემლად ორივესთვის სხვათა ცრემლთა მშრობელი!“

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ნ. ჟორდანიას მეთაურობით, იარსება 2 წელი და 9 თვე, ანუ 33 თვე, ანუ ზუსტად 1007 დღე და გაქრა „როგორც 1001 დამის ზღაპარი“. დემოკრატიული საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, მაგრამ ქართველ ერში არ ჩამკვდარა ეროვნულ-პატრიოტული გრძობა, თავმოყვარეობა და ეროვნული სული.

ქართული მწერლობის კლასიკოსი, ბატონი კ. გამსახურდია ბრძანებდა: „ერი, რომელსაც ეროვნული თავმოყვარეობა არა აქვს, მუდამ სხვისი საწველი ფური იქნება და ჩამორჩენილი – იმ დიდ მიზანს, რომლისკენაც მთელი კაცობრიობა და ყოველი ერი ცალ-ცალკე მიისწრფვის“.

სწორედ ეროვნულმა თავმოყვარეობამ და თავისუფლებისაკენ ღრმად განაპირობა 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყება, რომელიც ბოლშევიკებმა ჩაახშვეს; შემდეგ იყო 1937 წლის მასიური რეპრესიები, მასიური წმენდა. 50-იან წლებში მეგრელთა საქმე და სხვ.

1956 წლის 9 მარტს, საქართველოში დაიდგარა უმანკოთა სისხლი, ისევე და ისევე რუსეთის ხელისუფალთა მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგად, რომლის ორგანიზატორი იყო იმპერატორი ნ. ხრუშჩოვი. საქმე ეხებოდა რუსეთის კომუნისტური იმპერიის სულისჩამდგენელსა და მისი ერთ-ერთი დამაარსებლის – სტალინის პიროვნების კულტს.

იმავე წელს, კომუნისტური იმპერიის იდეოლოგებმა სისხლი დაღვარეს – შანდორ პეტეფის, მიხაი ხინის, ბაჩიძის, ძულა იუჰასის, ატილა იოჟევის, კოშტისა და ფერენც ლისტის სამშობლოში – უნგრეთში.

საბჭოთა იმპერიის იდეოლოგები მაინც არ ცხრებოდნენ. უმძიმეს კრიზისს განიცდიდა საბჭოური ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა, განათლება, რომლებიც თავისი არსით არ იყო ეროვნული (თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ დროს მნიშვნელოვნად მოდიერდა ქართული ეროვნული კულტურა და ხელოვნება, ქართული თეატრი, კინო, ლიტერატურა... – რედ).

1991 წლის 31 მარტს მოეწყო რეფერენდუმი, რომლის შედეგების თანახმად მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1991 წლის 26 მაისს – ზვიად გამსახურდია პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტი გახდა, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობა ხანმოკლე გამოდგა.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები... კვლავ დაიდგარა სისხლი საქართველოს დედაქალაქში. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება სამხედრო ძალით დაემხო. ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, რომლის სულსჩამდგმელი და ინსპირატორები იყვნენ აშშ-მების მადალჩინოსნები და სხვა გადემოკრატიული კომუნისტები.

საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ სამხედრო საბჭოს წევრები. მხატვარი – თენგიზ კიტოვანი (სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე), პროფ. ჯაბა იოსელიანი (თანათავმჯდომარე), რომლებმაც შექმნეს დროებითი მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა პროფ. თენგიზ სიგუა.

აღნიშნულ ვანდალურ აქტთან დაკავშირებით ხმა აღიმალდა ქართველი ერის იმ ნაწილმა, რომელთა სისხლძარღვში გამჭვდარი იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა. მთელი საქართველო მოიცვა ვნებათა ღელვამ, ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობასთან დაკავშირებით.

სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი სიტყვა თქვეს და სამართლიანად აღიმალდეს ხმა გადემოკრატიული კომუნისტის – ელვარდ შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ.

მე-20 საუკუნე ქართველი ერისათვის ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე საუკუნეა. აკადემიკოსი გურამ შარაძე გახეთ „პრეზიდენტის“ 2005 წლის 28 მარტის ნომერში წერდა: „მე-20 საუკუნეში ილიას და ზვიადის წმინდა სისხლი იმისთვის დაიდგარა, რომ 21-ე საუკუნიდან საქართველომ თავისი ოქროს ხანა დაიბრუნოს და სამუდამოდ ჩაიკროს!“ აკადემიკოს გურამ შარაძის ამ გამოთქვამს ჩვენის მხრივ დაეუმატებდით შემდეგს: საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ასევე დაიდგარა წმინდა სისხლი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი პატრიარქის – მერაბ კოსტავას, რომელსაც ავადსახსენებელმა პიროვნებებმა, ძალზე ადრე მოუსწრაფეს სიცოცხლე და ჩამოაშორეს მის ქრისტესმირ ძმას – ზვიად გამსახურდიას, რომელიც ცნობილი ტელეწამყვანის – ქალბატონ თინა მგალობლიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოკლეს მაშინ, როცა თბილისში, რუსთაველის გამზირზე ისროლეს“.

ამრიგად, ერის მამის – დიდი ილიას მკვლელობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქების, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მკვლელობა, ეს არის ერის უდიდესი ტრაგედია, სრულიად საქართველოსთვის.

ამბროს ფაილოძე



# ...არ იციან ვერცო ანჯაფარიძე და ხშირად იგი სესილია თაყაიშვილში ეშლებათ

მაინც რატომ დაიხურა და გაუქმდა თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის თეატრი? იმიტომ ხომ არა, რომ წლების განმავლობაში თეატრის დასი, ქვეყანაში მიმდინარე მანიკერ პროცესების ლაღი, ღრმა ქართული იუმორით აქტიურად აკრიტიკებდა? ანდა, იმიტომ ხომ არა, რომ იუმორის ჭეშმარიტი ქართული დანიშნულება, მდარე, უგემოვნო „შოუ იუმორის“ ფონზე ხედვებზე ამადლებული და ხარისხიანი ჩანდა? „ვარდების ხელისუფლების“ კიდევ ერთი მსხვერპლი, სატირისა და იუმორის თეატრი დღეს ლიკვიდირებულია; არადა, იყო დრო, როცა სპექტაკლებზე დასასწრები ბილეთების საღარიბოში ყიდვა თითქმის შეუძლებელი და დარბაზში მოხვედრაც „ზემოდან ხარის“ გარეშე წარმოუდგენელი გახლდა! დიდი ქართველი სატირიკოსის, უბრწყინვალესი მსახიობის, ბავშვივით გულწრფელი და ღვთისმოძებული ნიჭით დაჯილდოებული თენგიზ ჩანტლაძის მიერ ნათამაშები როლებიდან ფრანგები – „დაგაპატიმრებ, არ ვიცი, როგორ დაგაპატიმრებ!“, „იგრე გავიბოტები, როგორც შეინდა მოხვედრი“, „სარაჯიშვილი ხარ, ბიჭო, და ოპერასთან სიმღერისთვის როგორ დაგაპატიმრო?“ – დღესაც „ხმარებაშია“, თუმცა ვისი შემოქმედების ნაყოფია და ვინ ასრულებდა ამ როლებს, დღევანდელი თაობა, სამწუხაროდ, ვერ გიპასუხებთ!

ჩვენი სტუმარია, გაუქმებული თეატრის აწ უკვე ყოფილი მთავარი რეჟისორი ქალბატონი დალი კალატოზიშვილი, რომელიც დეტალურად გვიამბობს, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ ეს უნიკალური თეატრი, 40 მსახიობ-თანამშრომლით, დღეს ქუჩაშია გამოგდებული.

**დალი კალატოზიშვილი:** სისტემატურად ვდგამდით ორიგინალურ სპექტაკლებს, მცირე შემოსავლებით მსახიობების შრომის ანაზღაურებასაც ვახერხებდით, მაყურებელიც კმაყოფილი გვეყვოდა, მაგრამ შემდეგ შემოღებულმა თეატრის „მმართველების კონკურსმა“ დაგვდუნა! თენგიზ ჩანტლაძის მეუღლემ, ქალბატონმა ხაირამ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი იმეცადინა კონსტიტუციაში, მმართველობის „ხელისუფლებას“ და ათას სხვა დადგენილ დისციპლინაში, გამოცდაზეც გავიდა და წარმატებითაც ჩააბარა ყველაფერი – მაინც გვითხრეს „არაო“...

– რატომ?

– გამოცდის შემდეგ ქალბატონ ხაირას

„საიდუმლოდ“ უთხრეს: შესანიშნავად ჩააბარეთ ყველაფერი, ყველა მოთხოვნა და „ნორმა“ ხუთიანიზე დააკმაყოფილეთ და პასუხს რამდენიმე დღეში გაცნობებთო, მაგრამ, როგორც შემდეგ ჩვენი წყაროებით გაგვარკვევთ, საქართველოს კულტურის სამინისტროს ჩვენი თეატრის ბუდი თურმე ერთი თვით ადრე ჰქონია გადაწყვეტილი, ანუ გარკვეული მიზეზების გამო – სალიკვიდაციო სიაში შეტანილი, რაც დაუბრკოლებლად და სინდიდის ქნჯნის გარეშე განახორციელეს კიდევ მოგვიანებით!

– როცა ბატონი თენგიზის მეუღლე, ქალბატონი ხაირა ჩანტლაძე კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულ „გამოცდაზე“ ხელსუფლებიდან „ჩაიჭრა“, თეატრის დასმა ამ ამბავთან დაკავშირებით პროტესტი არ გამოხატა?

– თქვენ წარმოიდგინეთ და არა!.. ანდა, რა აზრი ჰქონდა პროტესტს მაშინ, როცა იცი, რომ არაფერს მოგიხმენ? ერთადერთი ის იყო, რომ ავედი კულტურის მაშინდელი მინისტრის მისაღებში და, რაც საჭირო იყო, ხმამაღლა იმაზე მეტი ვთქვი... ბატონ გოცა გაბაშვილს კაბინეტის კარი ჰქონდა და მშვენივრად გაიგონა ყველაფერი, მაგრამ რა? კარგი, მე ჩემი პოზიცია ამ ხელისუფლების მიმართ მკაფიოდ მაქვს ჩამოყალიბებული და ყველამ იცის, რომ „ამათ“ ვერ ვიტან, მაგრამ თეატრი რა შუაშია? ვიდრე ბატონი თენგიზი ცოცხალი იყო და ვიდრე ჭეშმარიტი ხელოვნების ფასი იცოდნენ, გვერდში ედგნენ ჩვენს თეატრს, მაგრამ გარდაიცვალა თუ არა იგი, ნელ-ნელა მის თეატრსაც შეუქმნეს პრობლემები და ბოლოს გააუქმეს კიდევ. როგორც ეტყობა, თენგიზ ჩანტლაძის სახელს და ავტორიტეტს, „ამათთვის“ ეავლი გაუვიდა, თორემ, აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ ის, რაც „ამათ“ იკადრეს?

– აღარც კი მახსოვს, რამდენი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს და რატომაც მგონია, რომ მხოლოდ თქვენმა ფაქტორმა განაპირობა იმ თეატრის ბუდი, რომელიც ადრე აგრერიგად გვიყვარდა ქართველ მაყურებელს. დავიჯერო, თქვენი თანამშრომლებისგან მაინც არ მოგისმენიათ ხელისუფლები: შენი პოზიციის გამო მოხდა ყველაფერი?

– გულახდილად გეტყვი: პირდაპირ ეს არავის უთქვამს ჩემთვის, მაგრამ რა თქმა უნდა, ასე ფიქრობდნენ! რა ვქნა, მითხარი, ასეთი ვარ, ვერ ვიტან უსამართლობას, და-

ლადობას, ცინიზმს, უტვირობას... და ამიტომაც ვარ აქტიური, როგორც მოქალაქე! მე იმ კატეგორიის ადამიანებს არ ვეკუთვნი, რომლებიც ყველაფერს ვგუებოან! არც დედა მყავს, არც მამა, არც შვილი და არც ქმარი, რომ რაღაცით დამაშინტაჟონ და დამაშინონ.

– ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მის საჭეთმკურთხელობას მორეზე სულ ახლახან დაწესებული ხელახალი შტურმი სააკაშვილის ხელისუფლების აღსასრულია, თუმცა პოლიტოლოგები მიზან ხელისუფლებიდან გასტუმრებას, დეკემბრის შემდეგ, უკრაინაში იუმინგოს ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, პროგნოზირებენ, ანუ „ფერადი რეჟიმის“ დადგენას ერთდროულად წაიყვანენ მათი „პატრონები“, თქვენც ასე ფიქრობთ?

– ღმერთმა ქნას, ასეც მოხდეს, თუმცა ერთს კი დავკენ: როცა იმ უბედური თეატრის ბუდის გამოხატვაზე ერთად არ იხუვლა ქართველობამ, იმ დღესვე არ გამოვიდა ქუჩაში პროტესტის დასაფიქსირებლად და მხოლოდ ინტერნეტით დაიწყო პასუხის გაცემა და მიმოწერა მსგავს უხამსობაზე, მაპატიე, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ჩვენ უნარი შეგვწევს, რაიმე სასიკეთოდ შევცვალოთ ამ ქვეყანაში... საერთოდ კი, მინდა, გითხრა, რომ ხელისუფლების შესაცვლელად რეალური ოპოზიცია არ არსებობს, ჩვენდა სამწუხაროდ!

– ქალბატონო დალი, კალატოზიშვილები კინოსა და თეატრში სახელგანთქმული გეარია. დიდი მიზეზი კალატოზიშვილი რუსეთში მოღვაწეობდა, მისი პირდაპირი შთამომავალი კი სულ ახლახან გარდაიცვალა მოსკოვში, სადაც დიდი პატივით დაიკრძალა ქართველი და რუსი ხელოვნების ცრემლითა და მწუხარებით. იქნებ გვითხრათ, ასეთი არაადამიანური, არაქრისტიანული დამოკიდებულება ერთმორწმუნე ქართველებსა და რუსებს შორის როდემდე უნდა გაგრძელდეს და, საერთოდ, რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ჩვენს სამშობლოს, ასეთი ვითარების გამო?

– იცით, რას გეტყვით? ბაბუაჩემი 16 წლის რომ წავიდა, 39 წლის დაბრუნდა პეტერბურგიდან, მაგრამ იგი სრულებითაც არ იყო გარუსებული! პირიქით, კახური ქუდი დადიოდა და ვაჟა-ფშაველას პოემებს მასწავლიდა. მე ვივლი, რომ რუსული და

ქართული ხელოვნება, მწერლობა სულიერად იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ, მიუხედავად შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა, მათ შორის ხელოვნური ბარიერებისა და მრავალი გარემოებებისა, ვერაფერს დააკლავს ამ სიახლოვეს! აი, სწორედ ამ ვითარებაში მიმჩნია სწორად, ხელოვნების წინ წამოწევა, ხელოვნების მუშაკებისთვის საშუალების მიცემა საიმისოდ, რომ ამხელა რუსულმა აუდიტორიამ თვითონ ნახოს, რა იქნება აქ, რა პრიორიტეტები არის წამოწეული წინა პლანზე და ა.შ. ბოლოსდაბოლოს ამხელა ეკონომიკური ბაზრის დაბრუნება, გლუხკაცის ნაოფლარის რეალიზაციას რომ თავი დავანებოთ, ადამიანური, პიროვნული ურთიერთობების აღდგენა არ უნდა დაიწყო? მე ვერაფერს დამარწმუნებს იმაში, რომ რუსული კლასიკური ლიტერატურის კითხვა სამშობლოს დაღაცია და რომ კატეგორიულად არ შეიძლება რუსული შესწავლა იმიტომ, რომ რუსეთი „ჩვენი დაუძინებელი მტერია“. იცით, ჩემი მოსწავლეები ასობევრა აწ–ს უკვე დაბლიუთი გამოთქვამენ, ანუ ამერიკული აქცენტით და ძალიან ვთხოვ ყველას, ნუ შემრისხავენ, თუკი ასეთ „უნებლიე“ წვრილმანებზე აღშფოთებას გამოვთქვამ ხოლმე! ძალიან კარგი, ნიჭიერი, ნათელი გონების ახალგაზრდობა წამოვიდა, მაგრამ სამწუხაროა, რომ მათ არათუ თენგიზ ჩანტლაძე, იპოლიტე ხვინია, სანდრო ჟორჟოლიანი და სხვა ქართველი შემოქმედები არ იციან, არამედ არ იციან დიდი მსახიობი ვერცო ანჯაფარიძე და ხშირად იგი ასევე დიდ მსახიობ სესილია თაყაიშვილში ეშლებათ! ესეც რუსეთის ბრალია? იქნებ, ის არის რუსეთის ბრალი, რომ ჩვენთან საგანმანათლებლო სისტემა ძირფესვიანად ნადგურდება? ან, იქნებ, „ჩვენთან“ „თავისუფლების ინსტიტუტის“ მოძლიერებაა რუსეთის ბრალი და თეატრის ბუდის დახრების გაჯეჯილება? აბა, დამისხველეთ თუნდაც ერთი ქვეყანა, სადაც ქვეყნის სულიერ ლიდერზე ასე თავხედურად საუბრობენ და საზოგადოება მღუბთარედ შესცქერის ამ უმსგავსობას? ვერ დამისხველეთ და იცით, რატომ? უნიკალური ვართ ყველაფერში – ომშიც, ლხინშიც და ლანძღვა-გინებაშიც. მუდამ სხვაზე გადაბრალებით საკუთარ ხინჯსა და მანიკერებებს ვმალავდით და საღამოდც მივედით, ხომ ვნახეთ.

ესაუბრა ირინე გოგოსაშვილი

## ნითელი ბაბო“ და ბრიტანეთის სპეცსამსახურის სხვა კომპარეზი

MI-5-მა დიდი ბრიტანეთისა და რუსეთ-საბჭოთა დაზვერვის ღამის საუკუნოვანი დაპირისპირების ამსახველი 2000-მდე დოკუმენტი გამოაქვეყნა. ინგლისში MI-5-ის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის ერთადერთი ოფიციალური ისტორია, რომელიც ბრიტანეთში საბჭოთა მზვერავების აქტიურ უცნობ ფოტოებთან ერთად უამრავ მასალას მოიცავს. კრებული, რომელსაც „სამიფოს თაღდაცვა“ ჰქვია, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა კრისტოფერ ენდრიუმ (თანაავტორი გახმაურებული კვლევისა „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ისტორია ლენინიდან გორბაჩოვამდე“) მოამზადა.

MI-5-ის ყოფილი ხელმძღვანელმა სტივენ ლენდერმა ჩათვალა, რომ ხალხისთვის „მრავალი რამის ახსნა საჭირო“ და 2002 წელს აღნიშნული წიგნის დასაწერად სანქცია გასცა, ენდრიუს კი სპეცსამსახურის არქივებიდან მუშაობის ნება დართო.

MI-5 1909 წელს შეიქმნა და ორი ადამიანისაგან შედგებოდა. სამსახურის მთავარი მიზანი იყო, სამეფო ჯერ გერმანიისაგან, შემდეგ კი ბოლშევიკური რუსეთისა და ქვეყნის შიგნით მისი მოკავშირეებისგან დაცვა.

წიგნში უამრავი აქტიურ უცნობი ამბავია აღწერილი, მათ შორის ერთ-ერთი „წითელ შიონ ბებოზე“ – მელიტა ნორვეგიე, რომელიც 40 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირს უამრავ საიდუმლო დოკუმენტს (მათ შორის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულსაც) გადასცემდა და ამას ისე

ახერხებდა, რომ ინგლისის სპეცსამსახურისთვის ინკოგნიტოდ რჩებოდა. მისი ვინაობა მხოლოდ 1999 წელს გამჟღავნდა, როდესაც დასავლეთში გაქცეულმა ყოფილმა საბჭოთა მზვერავმა მიტროხინმა რუსეთის ასობით საიდუმლო აგენტი გასცა.

ახლა უკვე ცნობილი შიონი – ბებო მელიტა 1912 წლის 25 მარტს დაიბადა და ადრევე ჩაება კომუნისტურ ახალგაზრდულ მოძრაობაში, 1937 წლიდან კი ბრიტანეთში საბჭოთა აგენტი გახდა. მომდევნო 40 წლის განმავლობაში ნორვეგიე ათასი მეტსახე-ნიტო მუშაობდა და მოქალაქე რა საიდუმლო ბირთვულ პროგრამაში ჩართულ ბრიტანეთის ფერადი ლიონების კვლევის ასოციაციის მდივანად, თავის საბჭოთა კურატორებს საბჭოთა ბირთვული პროგრამის განვითარების ხელშეწყობა მასალის გადასცემდა. ის საიდუმლო დოკუმენტებს პირდაპირ თავისი უფროსის სეიფიდან იღებდა, მინიატურული კამერით უღებდა სურათს და საბჭოთა მოკავშირეს გადასცემდა.

ნორვეგიის მეორე საქმიანობა გადამირება იყო და მის მიერ გადაბირებული ერთი ჩინოვნიკი 14 წლის განმავლობაში ამარაგებდა მას სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაციით ბრიტანული იარაღის გაყიდვის შესახებ.

პირველად MI-5-ის მელიტაზე ეჭვი 1945 წელს გაუჩნდა, 1965 წელს სპეცსამსახურმა დანამდვილებით იცოდა, რომ ის აგენტი, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მანამდე ვერ მოიპოვეს, ვიდრე ბრიტანეთში ვასილ მიტროხინი არ გაიქცა. ამ დრომდე არავინ იცნობდა მელიტას.

მელიტა ნორვეგიე საბჭოთა კავშირზე იდუარე მოსაზრებების გამო მუშაობდა, მას ფული არასდროს აუღია. მხოლოდ წითელი დროშის ორდენისა და თვეში 20 ფუნტის ოდენობის პენსიის მიღებას დათანხმდა.

როდესაც ბრიტანეთის პარლამენტმა მელიტას დასჯა მითითოვა, ის 87 წლის იყო და ნახევარი საუკუნის წინ კრედიტით ნაყიდ სახლში ცხოვრობდა, ეხოში ვაშლის ხეებს უვლიდა, ხილისგან კი ჯემს ხარშავდა. მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა მისი დასჯა მიზანშეწონილად მიიჩნია.

„იმას, რასაც ვაკეთებდი, ვაკეთებდი არა ფულისთვის, არამედ იმიტომ, რომ არ დამარცხებულიყო ახალი სისტემა, რომელსაც ძვირად დაუჯდა უბრალო ხალხის საკვები პროდუქტებით, ტრანსპორტით, განათლებითა და ჯანდაცვით უზრუნველყოფა“ – განაცხადა ინტერვიუში 87 წლის „წითელმა ბებომ“.

1979 წელს მელიტა და მისი მეუღლე პილარი ტურისტებად ექვივნენ საბჭოთა კავშირს. მაშინ აგენტი უკვე იყო წითელი დროშის კავალერი და ვიზიტისას მან კიდევ ერთხელ თქვა უარი გასამრჯელოს მიღებაზე. პილარიმ ცოლთან ოქროს ქორწილის გადახდა მოასწრო, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე დარდობდა მელიტას აგენტობას. ქალი კი ამშვიდებდა: „საერთოდ საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ ჯაშუშობის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ რუსეთს დახმარება სჭირდება, ბრიტანეთს, ამერიკასა და გერმანიას რომ არ ჩამორჩენილან“.

მელიტა 2005 წელს გარდაიცვალა.

გ. ნაცვლიშვილი

## შეცდომის გასწორება

გაზეთ „ილორის“ 41-ე ნომერში (2009 წლის 17 ნოემბერი) გამოქვეყნებულ ბატონ თენგიზ კულაშვილის წერილში „დადღასმულთა აბობოქრება საქართველოში“, რედაქციის მიზეზით გაიპარა ფრიად დასანანი შეცდომა. კერძოდ:

პირველი სვეტის მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით: „ამაში კი ეჭვი არ მეპარება“.

მითითებული წერილის მეოთხე სვეტის მეშვიდე აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით: „იმიტომ ხომ არა, რომ გულში ღრმად არ ვიმარხავთ და არა ვცხოვრობთ წმ. გიორგი ღმრთისმეტყველის მორალური იმპერატივით“.

ამავე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „ყოველმან ხემან, რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოგკეუთოს და ცვცხლსა დაედვას“ (მათე. 7:19); „ვერ ხელეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენებისა გამოღებდა, და არცა ხესა ხენ-ემისა ნაყოფი კეთილი ყოფად“ (მათე. 7:18).

გაზეთის რედაქცია დიდ ბოდიშს უხდის წერილის ავტორს და ჩვენს მკითხველებს აღნიშნული შეცდომისათვის, რამაც მნიშვნელოვნად შეუცვალა აზრი ავტორის მიერ მოყვანილ ციტატებს და მთლიანად სტატიას.

გაზეთ „ილორის“ რედაქცია



გაზეთი "ილორი" უძველეს რეპრეზენტაციას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები" გაზეთი "ილორი" უძველეს რეპრეზენტაციას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

ათი ლეგენდარული მატჩი ინგლისური "კლასიკის" სასტიკი უიღბლობა

"სტადიო დელ ალბი", ტურინი. მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი: გერმანიის 1:1. გოლები: ბრემე 59, ლინკეკერი 80; პენალტებით 4:3; 62.628 მაყურებელი; მსაჯი რაიტი (ბრაზილია). გერმანიის ილგენერი, ბრემე, კოლერი, აუგენტალერი, ბუჰვალდი, ბერტოლდი, მათეუსი, ჰესლერი (როიტერი), ფოლერი (რიდლე), კლინსმანი. ინგლისი: შილტონი, რაიტი, პარკერი, ბატენერი, (სტივენსი), უოკერი, პირსი, ბურდსლი, პლატინი, გასკოინი, უოლდი, ლინკეკერი. ორი ძველი მოწინააღმდეგის დაპირისპირებაში მატჩის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა და გამარჯვებულის გამოსავლენად კვლავ დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმების სერია. ინგლისის ნაკრები ძალიან ახლოს იყო მიზანთან, რომ გასულიყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თავისი ისტორიის მანძილზე მეორეჯერ. მაგრამ ბრიტანელებს ხელი მოეცა გერმანელებთან დაპირისპირებაში. თუმცა, ამ მატჩში ინგლისელებმა მარტო კარგად ითამაშეს და მათი გამარჯვებაც დამსახურებული იქნებოდა, მაგრამ... მატჩის დასრულების შემდეგ ინგლისელი ფეხბურთელი პოლ გასკოინი ატრიადა, რისიც სრულიად არ სცხენოდა, რადგან მაყურებელთა ოვაცია და პრესის დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ მატჩში ყველა მოთამაშემ გამოავლინა გამარჯვებისადმი გმირული სწრაფვა. მაგრამ, მაინც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბრაზილიელი არბი-

ტრის ხოსე რობერტო რაიტის ობიექტური, მიუკერძოებელი მსაჯობა, რაც პროფესიონალიზმის ზენიტად შეფასდა. ორივე გუნდის ფეხბურთელები ვერ უხეშობდნენ და ვერ იტყვოდნენ თავისუფლად, რაც მსაჯის უდავოდ დიდ დამსახურება გახლდათ. მატჩის 59-ე წუთზე პირველი გოლი გაიტანა გერმანელმა ბრემემ, რომელმაც ოსტატურად აუარა გვერდი პარკერს და მეკარე შილტონს თავზე გადაუტარა ბურთი. ზუსტად ოცი წუთის შემდეგ, ფრიად მოუხერხებელ სიტუაციაში მყოფმა პირი ლინკეკერმა იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა. თამაშის დამატებით დროში არაფერი მომხდარა და ეს დამატებული მატჩი ფრედ დამთავრდა, რის შემდეგაც დაინიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერია. აქ უკვე გერმანელებმა იმარჯვეს - მათ ოთხი გოლი გაიტანეს, რასაც ინგლისელებმა მხოლოდ სამი შედეგის დარტყმით უპასუხეს. ამ უკანასკნელთაგან უხეიროდ დაარტყეს სტიუარტ კრისმა და კრის უოლდმა. ამით არ დამთავრებულა გერმანელთა წარმატებული წინსვლა - ფინალში მათ არგენტინელებსაც მოუგეს 1:0 და მესამედ დაეფულნენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. კარნავალი დასრულებულია 1986 წლის 21 ივნისი "ხალისკო", გვადალახარა, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი საფრანგეთი-ბრაზილია 1:1 (პენალტებით 4:3). გოლები: პლატინი 40, კარეკა 18. მსაჯი იგნა (რუმინეთი). საფრანგეთი: ბატსი, ბატისტინი, ამორო,

ბოსი, ტიუსო, ჟირესი (ფერერი), ტიგანა, პლატინი, ფერნანდესი, სტოპირა, როშო (ბელონი). ბრაზილია: კარლოსი, ჟოზემარი, ხულო სეზარი, ედინიო, ბრანკო ალემარ, სოკრატესი, ჟუნიორი (სილასი), ელზო, მიუელი (ზიკო), კარეკა. შვიდი ფრანგი ფეხბურთელი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ოთხი წლის უკან გერმანიის წინააღმდეგ სევილიაში გამართულ ნახევარფინალურ მატჩში, ამჯერად, მეოთხედფინალში ბრაზილიელებს უნდა შერკინებოდნენ. ამ უაღრესად დაძაბულ მატჩში ფრანგებმა საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს, თუმცა ორსაათიანი შერკინება უშედეგოდ დასრულდა. დაინიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერია, სადაც ფრანგები უფრო შედეგიანები აღმოჩნდნენ, რამაც გამოავლინა კიდევ მსოფლიო ნახევარფინალის ვინაობა. შემდეგ სიტუაცია დრამატულად განვითარდა: გერმანიის გუნდმა ფრანგები დაამარცხა და ჩემპიონის ტიტულს დაეფულა. მაშინდელი ბრაზილიის ნაკრები აშ-

კარად ჩამორჩებოდა ოთხი წლის წინანდელ გუნდს, თუმცა, რაოდენ სუსტიც არ უნდა იყვნენ ბრაზილიელები, ისინი მაინც ყოველთვის გამოირჩევიან თამაშის დახვეწილი სტილითა და ახალი კომბინაციებით. ამ მატჩში ბრაზილიელთა მთავარმა მწვრთნელმა ტელე სანტანამ ძირითად დროში სათადარიგოთა სკამზე დატოვა ტრავმირებული ზიკო, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ იგი კვლავ შეუშვა მოედანზე. ამას შემდეგ უნდა მოეტანა კიდევ, რადგან ფრანგების მეკარე ბატსმა ბრაზილიელი ბრანკო მოცელა და მსაჯმა პენალტი დაინიშნა, მაგრამ ბატსმა მაღალსატურტი ნახტომით მოიგერია ზიკოს მიერ დარტყმული ბურთი. დამატებით დროში ფრანგები ბევრად უფრო მარჯვედ გამოიყურებოდნენ, რაც აისახა კიდევ მატჩის შედეგზე. გამარჯვების გოლი ბრაზილიელთა კარში ფრანგმა ლუი ფერნანდესმა გაიტანა და ფრანგები გათამაშების მორიგ ეტაპზე გავიდნენ, სადაც მათ მორიგი გერმანული კოშმარი ელოდათ...

გიორგი ჯალაღანია



ილორი

\*\*\* თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე ჩინელი გამგელის მიმართავს: - იქნებ დამეხმარო, მომეცით ერთი ლარი, აქეინში მივდივარ და ბილეთზე ფული არ მყოფის. - აჰა, შენ ოცდარბიანი და კიდევ ცხრა ჩინელი გაიყოლე. \*\*\* უცხოურ ფირმაში დირექტორმა იქ მომუშავე ქართველი თანამშრომელი იხმო: - მე ასე ვიცი, რომ წვერის გაპარსვა ყოველდღიური, აუცილებელი პროცედურაა, დაღვება კი მოქმედება, რომელიც ხშირად არ ხდება, ალბათ მხოლოდ დღესასწაულებზე და ტრადიციულ სუფრებზე. თუ თქვენთან ეს პირქითაა? \*\*\* სვანს კეთილშობიან: - ასე დიდი ნაბიჯებით რატომ დადიხარ? - ჩემებს ვუფრთხილდები, მალე რომ არ გამიცვლეს... \*\*\* - რატომ არის, რომ თუ კაცს ბევრი ქალი ჰყავს, ის მაგარია, თუ ქალს ჰყავს ბევრი მამაკაცი, ის ბოზია? - მომისმინე: თუ გასაღები ბევრ კარს აღებს, გადასარევი გასაღებია, მაგარი. მაგრამ თუ კარს ყველა გასაღები აღებს, შენც კარგად იცი, რა კარია...

სიგმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწვევების ბეჭდვას "ეფრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიგმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ - ტახტზე ჯდომა - კარგია და სარჩოს შემატების ნიშანია; - ტირილი და გლოვა - სიხარულია; - უენო, ანუ მუნჯის ნახვა - კარგია და სიხარულია; - უდეღე თუ შეგაბან - განსაცდელი და ფათურაკია; - ურის ნახვა, ანუ წვალება - სრულიად ცუდია;

- ურჯულოს ელაპარაკო - კარგია და საქმის წარმატებაა; - უცხო დედაკაცის კოცნა ანუ ხუმრობა - ძალიან კარგია; - უდეღეში ხარი შემზული ნახო - კარგია და სასიხარულოა; - ურმით მგზავრობა - ცუდია, ნათესავი ვინმე მოვიკვდეს; - უნამუსო დედაკაცის ლაპარაკი - დიდი ბედნიერება არის; - უმანკო ქალის გადახვეწა - სასიკეთო და სასიხარულოა; - ფრინველების ჩხუბი - ცუდი, საზიანო ამბავია.



გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში! მისი ძირითადი კრედიტები - შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი! ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი - არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვხმამაურებიათ! შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"!



გახსენება იებით მოყვნილ ველზე დამატობელი სურნელით გაუფენილ პაერს რომ შეისუნთქავ, თვალს ადარბობ ზეცისაკენ და უფლის სადიდებელი ღოცვა აღმოგხდება, ამ მიწიერი სამოთხის ბინადარი რომ ხარ. ალბათ ზეციურ სამოთხესაც გაანინა თავისი იებით მოყვნილი ველი და იქ მხოლოდ უცოდველ ადამიანთა სულები ხვდებიან... ბესიკი და გიორგი ახალაიები უცოდველად წავიდნენ ამ წუთისოფლიდან და თვალცრემლიანი დედა დატოვეს. ერთად დადგნენ ძმები მარადიულობის თვალსაწიერს და იქაც ერთად მიუყვებიან იებით მოყვნილ გზას, რომელთაც გაუბედურებული დედის - ქალბატონ მზია ნაჭყებიას ცრემლები ნამავს ყოველციხსმარე ტრაგიკულმა შემთხვევამ წაპვლიჯა დედას ერთადერთი იმედი - უღამაზესი სათნო ვაჟაკები, რომელთა მონატრებას ანთებული სანთლებით და ხატად ქცეულ მათ ფოტოებთან დახოქილად ღოცვით იქარვებს... ეს გახსენებაც შეილებდაკარგული დედის ფიქრის ნაწილია, რომელსაც სიბერის ნუგეშად მხოლოდ შეილისშვილები დარჩენია - გიორგი და მარინა. ყოველდღიურად ახსენებენ ნათელში მყოფ ბესიკსა და გიორგის მცირეწლოვანი ბავშვები და მუდამ თვალცრემლიანი დედა. მსუბუქი იყოს მათთვის ქართული მიწა!

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე რედაქციის მისამართით: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ. №01018002930 მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: ლავით ქობალაძე ტექნიკური რედაქტორი: მისხიფ ჩოლოყიშვილი anaklia@web.de e-mail: elisabetthal@yahoo.de რედაქციის განთავსება 899-57-33-22 72-37-35 38-41-97